# ლიტერატურული საქართველო

20 იანვარი, 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 2 (57)




## საინფორმაციო ცნობა

### საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მორიგი პლენუმის შესახებ

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება*).

გარდა ამისა, ც. კ-ის პლენუმმა განიხილა მთელი რიგი სამეურნეო საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. პ. პ. პოსტიშევი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა შემადგენლობაში შეიყვანა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი და საქ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის ორგბიუროს შემადგენლობაში — ამხ. ლ. ზ. მეხლისი.

*) დადგენილება გამოქვეყნდება მორიგ ნომერში.



# სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

## კავშირის საბჭოს პირველი სესიის გახსნა

12 იანვარს ლალის ვარსკვლავების შუქით გასხივოსნებულ კრემლში შეიკრიბა სოციალიზმის ქვეყნის დიადი პარლამენტი. ჭალარა კრემლმა გულითადად მიიღო საბჭოთა ქვეყნის ბატონ-პატრონები, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

ოთხი საათია. უეცრად იგრიალა მქუხარე ტაშმა. ყველას თვალი მიპყრობილია ლოჟებზე, სადაც გამოჩნდებიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, ჟდანოვი, ეჟოვი, ლიტვინოვი, პეტროვსკი, შვერნიკი, ხრუშჩოვი, ბულგანინი, დიმიტროვი** და სხვები.

უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებიან ხალხის არჩეულნი საბჭოთა ხალხის პირველ დეპუტატს **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს** და მის თანამებრძოლთ.

რამდენიმე წუთს გრძელდება ხმამაღალი, სიხარულით აღსავსე მისალმებანი სხვადასხვა ენებზე: **„ურა!“, „ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“.**

დეპუტატს ამხ. **ხრუშჩოვს** შეაქვს წინადადება — კავშირის საბჭოს პირველი სესიის გახსნა დაევალოს უხუცეს დეპუტატს. უხუცესია დეპუტატი აკადემიკოსი **ბახი.** კავშირის საბჭოს სესია მხურვალედ მიესალმება ცნობილს "საბჭოთა მეცნიერს.

4 საათი და 25 წუთია. დეპუტატი **ბახი** კავშირის საბჭოს პირველ სესიას გახსნილად აცხადებს.

კავშირის საბჭოს სესიის პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ წინადადებით გამოდის დეპუტატი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე **ი. ი. სიდოროვი.** მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის დეპუტატთა ჯგუფის სახელით მას შეაქვს წინადადება კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა საქმისათვის მედგარი მებრძოლი, კავშირის საბჭოს დეპუტატი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი **ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი.**

სესია მქუხარე ოვაციებით მიესალმება ამ წინადადებას.

ამხანაგ **ანდრეევს** ერთხმად ირჩევენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ. იგი იკავებს ადგილს თავმჯდომარის მაგიდასთან.

თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ამხ. **ტროფიმე დენისის-ძე ლისენკო** და ამხ. **სულთან სეგიზბაევი.**

დეპუტატ ამხ. **ალემასოვის** წინადადებით სესია ღებულობს რეგლამენტს. ერთხმად მიღებულია აგრეთვე დღის წესრიგი, რომელიც შეიტანა დეპუტატმა ამხ. **ჟდანოვმა** მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის დეპუტატთა ჯგუფის სახელით.

კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნების შემდეგ სესიის პირველი სხდომა დახურულად ცხადდება. სესიის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიაცილებენ სხდომის დარბაზიდან მიმავალ ამხანაგ **სტალინს,** პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთ.

## ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის გახსნა

ეროვნებათა საბჭოს სხდომის დარბაზი კრემლში აივსო ხალხის არჩეულებით, დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლებით.

8 საათია. მთავრობის ლოჟაში შემოდიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, ეჟოვი, ჟდანოვი.**

დეპუტატები ხანგრძლივ მქუხარე ოვაციის უმართავენ ხალხთა დიდ მასწავლებელს და მეგობარს. **„ვაშა სტალინს!“. „ბედნიერი, საამური ცხოვრებისათვის ვაშა სტალინს!“.** დარბაზის ყოველი კუთხიდან გაისმის მისალმების აღფრთოვანებული შეძახილები.

საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა თავის დეპუტატებს მისცეს განაწესი გადასცენ დიდ სტალინს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა, უსაზღვრო მადლობის გრძნობა ბედნიერებისა და საამური ცხოვრებისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც ყველა მშრომელის საყვარელ სამშობლოდ გადაიქცა, დიადი სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში.

და თვითეული დეპუტატი თავის ენაზე დღეს, თავის ძმურ ოჯახში, უღრმესი გულწრფელობით, მთელი სულით და გულით გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ამ ერთიან გრძნობას: **„დიდება სტალინს, მშობლიურს და საყვარელს!“.**

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი ამხ. **გ. ი. პეტროვსკი.** იგი წინადადებას იძლევა ეროვნებათა საბჭოს სესიის გახსნა დაევალოს უხუცეს დეპუტატს, კომუნისტური პარტიის უძველეს წევრს ამხ. **მ. გ. ცხაკაიას.** სესია ტაშით ხვდება ამ წინადადებას.

ამხ. **მ. გ. ცხაკაია** სიტყვით მიმართავს დეპუტატებს.

ამხ. **ცხაკაია** ეროვნებათა საბჭოს სესიას გახსნილად აცხადებს.

შემდეგ შეუდგენ ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნებს.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ნ. მ. შვერნიკი.**

თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ამხ. **ჩ. ა. ასლანოვი** და **ა. მ. ლევიცკი.**

რეგლამენტისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სესია ირჩევს სამანდატო კომისიას.

სესია იხილავს მთელი რიგი დეპუტატების წინადადებებს ეროვნებათა საბჭოსთან მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ და ადგენს — შექმნას საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია, საბიუჯეტო კომისია და საგარეო საქმეთა კომისია.

სოციალიზმის ძლევამოსილი ქვეყნის თავისუფალ ხალხთა მაღალი ნდობით აღჭურვილი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები შეუდგნენ თავის საპასუხისმგებლო სახელმწიფო მუშაობას.

## კავშირის საბჭოს სესიის 13 იანვრის სხდომა

13 იანვარს 11 საათზე განახლდა კავშირის საბჭოს სესიის სხდომა. პრეზიდიუმში არიან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ა. ა. ანდრეევი** და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ამხანაგები: **ტ. დ. ლისენკო** და **ს. სეგიზბაევი.** ლოჟებში არიან ამხანაგები: **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, ჟდანოვი, ეჟოვი, ლიტვინოვი, ხრუშჩოვი, შვერნიკი, პეტროვსკი, ბერია** და სხვები.

სესია იწყებს დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვას — კავშირის საბჭოს მუდმივ კომისიათა არჩევას.

დეპუტატ ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვს** მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ტაშკენტის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეაქვს წინადადება შეიქმნას საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივად მომქმედი კომისია, რომელიც წინასწარ დაამუშავებს ხოლმე ამათუიმ კანონს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მის განსახილველად და მისაღებად.

თავმჯდომარე ამხ. **ანდრეევი** კენჭს უყრის ამ წინადადებას. დეპუტატები ერთხმად იღებენ წინადადებას. საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას ირჩევენ 10 კაცის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **დ. მ. ევტუშენკო.**

დეპუტატს ამხ. **კოროტჩენკოს** უკრაინისა, მოსკოვისა, მოსკოვის ოლქისა და ყაზახეთის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეაქვს წინადადება შეიქმნას კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის საფუძველზე. ამ წინადადებას მხარს უჭერს მის შემდეგ გამოსული დეპუტატი ამხ. **პიჩუგინა.**

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიას ირჩევენ 13 კაცის შემადგენლობით. კომისიას თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ი. ი. სიდოროვი.**

სიტყვა ეძლევა დეპუტატს ამხანაგ **ლ. ბერიას.** რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს სს რესპუბლიკების სახელით მას შეაქვს წინადადება შეიქმნას კავშირის საბჭოს მუდმივად მომქმედი საგარეო საქმეთა კომისია.

ამხ. **ბერია** ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის სტალინური საგარეო პოლიტიკის შესახებ, მშვიდობიანობის შენარჩუნების პოლიტიკის შესახებ, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის ხალხთათვის მშვიდობიანი შრომა. დარბაზში გრიალებს ოვაციები ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

სესია არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით ხვდება ამხ. **ბერიას** განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას მთლიანად და სავსებით იზიარებს სსრ კავშირის 170-მილიონიანი მოსახლეობა, რომ მისი ავტორიტეტი განმტკიცებულია სახელოვანი, უძლეველი წითელი არმიის ძლიერებით. კვლავ გრიალებს ოვაცია. დეპუტატები მხურვალედ უკრავენ ტაშს თავდაცვის რკინის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ **ვოროშილოვს.** მისი სახით ისინი მიესალმებიან ძლიერ წითელ არმიას, რომელიც ურყევ კედლად დგას სოციალიზმის ქვეყნის მიჯნების სადარაჯოზე.

და ახალი ძალით გრიალებს ტაში, როდესაც ამხ. **ბერია** ამბობს, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტი **დამყარებულია საბჭოთა ხალ**ხის მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობაზე, ხალხისა, რომელიც მჭიდროდ არის დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა საყვარელი ბელადის — დიდი **სტალინის** გარშემო.

რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია, ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საყვარელ სტალინს!“, „ვაშა ამხანაგ სტალინს!“.

ფაშისტური აგრესიის ზრდის შესახებ, საგარეო პოლიტიკის საკითხებისათვის მაქსიმალური ყურადღების დათმობის აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობს დეპუტატი — ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. პეტროვსკი.** იგი მხურვალედ უჭერს მხარს დეპუტატ ამხანაგ ლ. ბერიას წინადადებას.

საგარეო საქმეთა კომისია შექმნილია 11 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ ტაშის გრიალით ირჩევენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ლენინგრადის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს, ამხანაგ სტალინის ერთგულ მოწაფეს, დეპუტატ **ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვს.**

შემდეგ გამოსულ დეპუტატს ამხ. **მოსკატოვს** შეაქვს წინადადება, რათა დღის წესრიგის მესამე პუნქტი — დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ სადეპუტატო მოვალეობათა ასრულებასთან, — განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომაზე, რამდენადაც ეს საკითხი ორივე პალატას დეპუტატებს ეხება.

ამხ. **მოსკატოვის** წინადადებას იღებენ.

თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. ანდრეევი** აცხადებს შესვენებას 14 იანვრის დილის 11 საათამდე.

## ლენინის ხსოვნას

### ვალერიან გაფრინდაშვილი

კრემლის კედელთან ვნახე ლენინი, –
იდგა ზამთარი და თებერვალი,
და იყო ჩვენთვის ის მოვლენილი,
როგორც სითბო და სხივთა მწვერვალი.

ვუცქერდი ბელადს — თითქოს მძინარეს —
რომელიც ახლაც დიდ ბრძოლებს ელტვის,
არის პლანეტა სხივმომფინარე,
და გზას გვინათებს იგი ყოველთვის.

ეს შემომქმედი, მაღალი შუბლი,
დაგრაგნილ წარბთა ოქროს აფრებით —
აპობს სტიქიას, შემოსილს ღრუბლით,
და ანადგურებს მტრებს გამძაფრებით.

გულში ჩავიკარ მისი ხატება,
მას სათუთ გრძნობით ეხვევა ხალხი.
ეს არის ძალთა გამოცხადება
და სიყვარულის ულევი ტალღა.

ეს დედამიწა ტრიალებს ვიდრე,
არ დადუმდება გული ნაბრძოლი,
მან დაგვიტოვა თავის მემკვიდრე—
დიადი ბრძენი და წინამძღოლი.

და „კოლხიდელმა მგზნებარემ“ მაშინ
დასდო კუბოსთან უკვდავი ფიცი.
ჩვენ გავიგონეთ სტალინის ხმაში
ხმა ლენინისა—ყოველთვის მტკიცე.

ორი ბელადის დიდი გენია
ერთ ჩაუქრობელ მზედ ამობრწყინდა.
ახალი ქვეყნის დასაყრდენია
ორი სახელი — ესოდენ წმინდა.

მე დღეს ვიგონებ ლენინის სახეს...
გრგვინავს ფინეთის სადგურზე მხნელად:
ის — სანატრელი — მუშებმა ნახეს
და გაჰყვნენ თავის ჭეშმარიტ ბელადს.

## ლენინი მავზოლეუმში, ლენინი ყველგან

### გიორგი კაჭახიძე

მივუახლოვდი...
და მოკრძალებით
ჩუმად დავხედე, სუნთქვა მეძინა:
ოქტომბრის მამას მშვიდად თვალები
დაეხუჭა და თითქოს ეძინა.

მაგრამ არ იყო იგი იმგვარი,
როგორც უნახავთ მართლაც მძინარე;
რომ იღვიძებდა როგორც გრიგალი
და არ ცხრებოდა ვით მთის მდინარე.

ვისი სახელიც ბრძოლის სურვილით
გმირობისათვის მუდამ გვაქეზებს,
რაღაც მკრთალი და ცივი ღიმილი
გადაფენოდა ფრთხილად სახეზე.

ქით ვარსკვლავების ცვენა, განგაში
სულს დაეუფლა გრძნობა უჩვევი, —
მაგრამ ლენინის გზნებით ქალაქში
ამღერებული შემხვდნენ ქუჩები.

მომცეს სილაღე მზით მოფენილი
მე, თვით ამ მზიურ ქვეყნის ბინადარს.
საქმით აქ იყო თვითონ ლენინიც,
მისი თვალებიც ხალხში ბრწყინავდა.

რა დააცხრობდა, აბა, ვინც ფრთები
ხალხს შეასხა და ქვეყნის დარი შვა!
იგი კვლავ არის ქვეყნად დიდებით
ბრძოლებისა და სიბრძნის ქარიშხლად.

ვინ გაიგონა მისგან სხვა ქცევა,
ვინც თვით სიკვდილის არის დამცემი!
ღვივის ჩვენს გულში ვით აღტაცება
და მამობრივი თვალით დაგვცქერის.

შრომის სამშობლოს მტრებზე გამწყრალი
ზრდის და აშვენებს შრომის უფლებას.
დიდი წარსულის ბრძოლებს გვასწავლის,
დიდ მომავალზეც გვესაუბრება.

მტრების ქარაგმა ბევრი ამოხსნა,
ბუნაგიანად სპობს მოღალატეს.
იგი აჩქარებს თუჯის ჩამოსხმას
და უხვ მოსავალს მინდვრად ღაღადებს.

ჩვენი ბაღების ნამიც უქია,
მარად მხნეა და მარად მღელვარე!
ყველგან ამ ბრძენის დიდი შუქია
სადაც სტალინის სიბრძნე ელვარებს.

## გამარჯობა უზენაესო საბჭოვ!

### ჯამბული

ყაზახეთის სახალხო პოეტი, ორდენოსანი

დათოვილი ტუნდრიდან ტყეთა ულრანებიდან,
სად ზვირთები მღერიან — ზღვათა ნაპირებიდან,
სად ღრუბელი ქანაობს — მთათა გრეხილებიდან,
შავი გვირაბებიდან, ცისფერ ტრამალებიდან;

ქალაქთაგან, სად გრგვინვა ცას ზღვასავით ეხლება.
ყიშლაღთაგან, სად ველი მღერის აჩახჩახებით,
რომ დაესწროთ დიდებულ საბჭოს პირველ შეკრებას,
ქვეყნის მეპატრონენი, თქვენ მოსკოვში ჩახველით.

თქვენ მიდიხართ მაღლით, ფარჩით და აღტაცებით,
მოედანზე იანვრის თოვლი ტყდება ჭრიალით;
გხვდებათ მავზოლეისთან ანთებული ნაძვები,
კრემლის თავზე ლალისფერ ვარსკვლავების ბრჭყვიალი.

და თეთრწვერა ჯამბულიც შემსძრა, გამახალისა,
მე გულამღერებული, სიმებ აჟღერებული,
სალამს გიძღვნით რჩეულნო თქვენ უკვდავი ხალხისა,
სალამს გიძღვნით ელჩებო ბედნიერი ხალხისა,
ფიქრთა გამცხადებლებო უძლიერეს ხალხისა,
სიბრძნით ჩვენი ქვეყნისა რომ ხართ შთაგონებული.

თერთმეტ რესპუბლიკაში ბევრი რამის მხილველი,
აგირჩიეს ჭკვიანნი და თქვენც ამომზიანდით.
საყვარელი ბელადი, დეპუტატი პირველი,
კრემლში მოგეგებებათ თვით სტალინი დიადი.

ჩვენთან არის სტალინი — ჩვენთან არის სიმართლე,
ჩვენთან არის სტალინი — გამარჯვება ჩვენია,
ჩვენთან არის სტალინი — ძლევის დროშა გვინათებს.
მზიურ მხარეს ბედნიერს — დღეს რომ მოულხენია.

დღეს ვზეიმობთ და როგორც კი ირიჟრაჟა, გამთბარი,
მოკაზმული ჩვენი მხარე აწკრიალდა, დიადობს.
უზენაეს საბჭოს შრომა წმინდაა და მართალი,
ვისაც ხალხმა სიყვარულით თვისი ბედი მიანდო.

და ჯამბულიც, სიხარულით მღერის ეშხზე მოვედი.
არ ვაშორებ, თითების ქვეშ თრთის სიმების კრებული...
რომ გირჩევდათ, რომ გგზავნიდათ ხალხთა მილიონები,
თქვენ გისურვებთ იყოთ ხალხთან მტკიცედ, გულით, გონებით
მშობლიური ქვეყნის ნდობა გქონდეთ გამართლებული.

თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ.

## მზიურ სამშობლოს რჩეულ შვილებს

### გიორგი გიასელი

მხიარულ გულით მოვიდნენ ქვეყნის ერთგული შვილები,
რჩეულთა შორის რჩეულნი, სტალინის დროშა — შლილები
მათ მოიტანეს აზრები ვრცელ სამშობლოს რომ დაჰხარის,
მოვიდნენ დიად ბელადთან თავზე ვარდ-გადანაყარი.

მოსულან... მოუტანიათ სხვადასხვა მხარის იერი,
შეუდრეკელი ნება და ჯანი გრანიტზე ძლიერი.
მოუტანიათ სიცოცხლე, ხალისი ჩაუქრობელი,
ძალა, გმირობა, ტრფიალი და ყრმობა დაუჭკნობელი.

მოსულან პატრიოტები გმირობის ცეცხლით გამთბარი,
იმათ დაიპყრეს ლაჟვარდი, პოლუსი, ზღვა და მთა-ბარი.

მოუტანიათ ბელადთან გმირობის ოქრო-კრებული,
თავიანთ მხარის გაფურჩქვნას ხატავენ აღტაცებულნი.
ამბობენ, ნაცვლად ჭაობის—ახლა ბაღები ჰყვავიან,
მწიფე ბაღჩა და ზვარები რა კარგი სანახავია!

ტანსწორი ხე და ლერწამი სტალინურ დროშის ტარია,
მაღარო, ზღვა და ჰაერი გმირობის საბუდარია!

დავდივართ გულმხიარულნი საამურ მზეში ველადო,
ასიათასჯერ მადლობა ბრძენო, მამავ და ბელადო!
სამშობლოს შევეწირებით, ვართ უშიშარი, მკლავ-მალი,
შენ იტყვი ფეხზე დადგება ხალხი ვარსკვლავზე მრავალი.

შენა ხარ მზეზე დიადი, იმედი, რწმენა, დიდება,
მოგეცეს ჯანის, სიცოცხლის მარადჟამს აყვავილება.

## მწერლების მიტინგი უზენაეს საბჭოს სესიის გახსნის გამო

13 იანვარს საქართველოს საბჭოთა მწერლობის და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრებამ თავისი აღფრთოვანების ხმა შეუერთა ჩვენი თვალუწვდენელი სოციალისტური სამშობლოს მილიონიანი მასების აღტაცებას და ენტუზიაზმს მთელ მსოფლიოში პირველი, ნამდვილად დემოკრატიული, პარლამენტის — სსრკ-ს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის გამო.

უზენაეს საბჭოს პირველი სესიის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოკლე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **შ. რადიანი,** სიტყვით— ამხ. **დ. ბენაშვილი** და სხვ.

უზენაესი საბჭოს არჩევნებისა, მისი პირველი სესიის გახსნისა და დიდი ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს: ირ. აბაშიძემ, რ. გვეტაძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, ა. აბაშელმა, ს. ეულმა, ი. მოსაშვილმა.

N F 576

# სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

## კავშირის საბჭოს 1938 წლის 14 იანვრის სხდომა

14 იანვარს, დღის 11 საათზე, კავშირის საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი.

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის მოხსენება კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

ამხ. შჩერბაკოვი აქვეყნებს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას კავშირის საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგებზე 569 საარჩევნო ოლქის მიხედვით.

კავშირის საბჭომ დეპუტატ აკადემიკოს ა. ა. ბაიკოვის წინადადებით მიიღო შემდეგი დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, კავშირის საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომლებიც არჩეული არიან ყველა 569 საარჩევნო ოლქში და გატარებული არიან რეგისტრაციაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა“.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო დადგენილების მიღების შემდეგ კავშირის საბჭოს მესამე სხდომა დაიხურა.

## ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 14 იანვრის სხდომა

14 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ეროვნებათა საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი.

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატის ამხ. სადიკ ნურპენსოვის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.



მ. ი. კალინინი
სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ამხ. ნურპენსოვი აქვეყნებს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას 574 საარჩევნო ოლქის მიხედვით ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ:

ეროვნებათა საბჭომ დეპუტატ ამხ. ვ. ი. სიმოჩკინის წინადადებით, მიიღო შემდეგი დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომლებიც არჩეული არიან ყველა 574 საარჩევნო ოლქში და გატარებული არიან რეგისტრაციაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

2. დამთავრებულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა“.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო დადგენილების მიღების შემდეგ ეროვნებათა საბჭოს სხდომა იხურება.

## კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 15 იანვრის გაერთიანებული სხდომა

15 იანვარს, დღის 2 საათზე, კავშირის საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. ანდრეევი.

[illegible] შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

2. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა:

ა) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა;

ბ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებისა;

გ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნისა;

დ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა.

3. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შედგენა.

4. სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა.

5. დეპუტატების იმ ხარჯთა ანაზღაურების შესახებ, რაც დაკავშირებულია მათ მიერ დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან.

ამ დღის წესრიგს ერთხმად ამტკიცებენ.

გაერთიანებულ სხდომათა დღის წესრიგის პირველ საკითხზე ისმენენ დეპუტატ ა. ფ. გორკინის მოხსენებას.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ს. ვ. კოსიორი, ა. ა. ვოლკოვი, ლ. ი. მირზოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ხ. სეგიზბაევი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში შესატან ცვლილებათა და დამატებათა საკითხზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. მ. მოლოტოვმა, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

კამათის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო გადადის შეტანილ ცვლილებათა და დამატებათა მუხლობრივ წაკითხვასა და ხმისმიცემაზე ცალცალკე პალატების მიხედვით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ღებულობს შემდეგ დადგენილებას სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

### I. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-22 მუხლის შეცვლის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ალტაისა და კრასნოდარის მხარეების და არხანგელსკის, ვოლოგდის, ირკუტსკის, ნოვოსიბირსკის, ორიოლის, როსტოვის, რიაზანის, სმოლენსკის, ტამბოვის, ტულისა და ჩიტის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-22 მუხლი გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 22. რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ალტაის, შორეულ-აღმოსავლეთის, კრასნოდარის, კრასნოიარსკის, ორჯონიკიძის მხარეებისაგან; არხანგელსკის, ვოლოგდის, ვორონეჟის, გორკის, ივანოვოს, ირკუტსკის, კალინინის, კიროვის, კუიბიშევის, კურსკის, ლენინგრადის, მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორენბურგის, ორიოლის, როსტოვის, რიაზანის, სარატოვის, სვერდლოვსკის, სმოლენსკის, სტალინგრადის, ტამბოვის, ტულის, ჩელიაბინსკის, ჩიტის, იაროსლავლის ოლქებისაგან; თათართა, ბაშკირეთის, დაღისტნის, ბურიატ - მონღოლეთის, ყაბარდო-ბალკარეთის, კალმუხეთის, კარელიის, კომის, ყირიმის, მარის, მორდვის, ვოლგის გერმანელთა, ჩრდილო-ოსეთის, უდმურტთა, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან; ადიგეის, ებრაელთა, ყარაჩაის, ოიროტის, ხაკასთა, ჩერქეზთა ავტონომიური ოლქებისაგან“.

### II. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-23 მუხლის შეცვლის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ჟიტომირის, კამენეც-პოდოლსკის, ნიკოლაევისა და პოლტავის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-23 მუხლი გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 23. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ვინიცის, დნეპროპეტროვსკის, დონეცის, ჟიტომირის, კამენეც-პოდოლსკის, კიევის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, ხარკოვის, ჩერნიგოვის ოლქებისაგან და მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან“.

### III. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-26 მუხლის შეცვლის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ბუხარის, სამარყანდის, ტაშკენტის, ფერგანისა და ხორეზმის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-26 მუხლი გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 26. უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ბუხარის, სამარყანდის, ტაშკენტის, ფერგანის, ხორეზმის ოლქებისაგან და ყარა-კალფაკთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან“.

### IV. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-28 მუხლის შეცვლის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში გურიევსკის, კზილ-ორდის, პავლოდარის ოლქების შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-28 მუხლი გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 28. ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება აქტიუბინსკის, ალმა-ატის, აღმოსავლეთ - ყაზახეთის, გურიევსკის, დასავლეთ - ყაზახეთის, ყარაგანდის, კზილ-ორდის, კუსტანაის, პავლოდარის, ჩრდილო - ყაზახეთის, სამხრეთ – ყაზახეთის ოლქებისაგან“.

### V. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-29 მუხლის შეცვლის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის [illegible] სკის, გომ[illegible] ლიოვისა [illegible]

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-29 მუხლი გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 29. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ვიტებსკის, გომელის, მინსკის, მოგილიოვის, პოლესიის ოლქებისაგან“.

### VI. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-49 მუხლის დამატების შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაემატოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-49 მუხლს პუნქტი „პ“ შემდეგი შინაარსისა:

„პ) აცხადებს ცალკეულ ადგილებში ან მთელ სსრ კავშირში სამხედრო წესებს სსრ კავშირის თავდაცვის ან საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფოებრივი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის“.

### VII. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-77 მუხლის დამატების შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების — მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის, სამხედრო – საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის და დამზადებათა სახალხო კომისარიატის შექმნა.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-77 მუხლი გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო - საკავშირო სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან სახალხო კომისარიატები:

თავდაცვისა;
საგარეო საქმეთა;
საგარეო ვაჭრობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
წყლის ტრანსპორტისა;
მძიმე მრეწველობისა;
თავდაცვის მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა;
სამხედრო-საზღვაო ფლოტისა;
დამზადებათა“.

### VIII. სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 78, 83 მუხლების დამატებათა და შესწორებათა შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაემატოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-70 მუხლს სიტყვები — „სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-70 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები — „დამზადებათა კომიტეტის თავმჯდომარე“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-78 მუხლში სიტყვა — „შინავაჭრობისა“ შეიცვალოს სიტყვით „ვაჭრობისა“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-83 მუხლში ამოიშალოს სიტყვები „დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული“ და სიტყვა „შინავაჭრობისა“ შეიცვალოს სიტყვით „ვაჭრობისა“.

ამით იხურება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

## კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 17 იანვრის გაერთიანებული სხდომა

17 იანვარს, დღის 2 საათზე, კავშირის საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე საერთო სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ღებულობს წინადადებას ამ სხდომაზე პირველ საკითხად განხილულ იქნას საერთო სხდომის დღის წესრიგის მე-5 პუნქტი — დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან. დეპუტატ პ. გ. მოსკატოვის წინადადებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ღებულობს შემდეგ დადგენილებას:

1. დაწესდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან, ყოველთვიურად 1.000 მანეთი თვითეულისათვის.

2. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის პერიოდში დეპუტატების ხარჯების ასანაზღაურებლად დაწესდეს დღიურები 150 მანეთის ოდენობით.

3. დაწესდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის მუდმივი ბილეთები უფასოდ მგზავრობისათვის სსრ კავშირის ყველა რკინიგზებსა და წყალსავალ გზებზე.

4. გათვალისწინებულ იქნას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ხარჯთაღრიცხვით, როგორც კავშირის საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების განკარგულებაში, ისე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების განკარგულებაში წელიწადში 300 ათასი მანეთის გაღება თვითეული პალატის ხაზით დეპუტატებთან ურთიერთობისა და საწარმოამდგენლო ხარჯებისათვის.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო გადადის საერთო სხდომის დღის წესრიგის მე-2 პუნქტის განხილვაზე — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევაზე.

კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით წინადადებით გამოდის დეპუტატი ს. ვ. კოსიორი.

გამოსთქვა რა მოსაზრებანი, რომლებიც, უხუცესთა საბჭოების აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევას, დეპუტატი კოსიორი ასახელებს უხუცესთა საბჭოების მიერ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში წამოყენებულ კანდიდატებს. თვითეული კანდიდატისათვის პერსონალური კენჭისყრით უზენაესი საბჭო ირჩევს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით:

**სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

1. მიხეილ ივანეს-ძე **კალინინი**, დეპუტატი ლენინგრადის საქალაქო ოლქიდან, რსფსრ.

**სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი:**

2. ივანე სერგეის-ძე **ხოხლოვი**, დეპუტატი მოსკოვის სასოფლო ოლქიდან, რსფსრ.

3. გრიგოლ ივანეს-ძე **პეტროვსკი**, დეპუტატი დნეპროპეტროვსკის ოლქიდან, უკრაინის სსრ.

4. ნიკიფორე იაკობის-ძე **ნატალევიჩი**, დეპუტატი სლუცკის ოლქიდან, ბელორუსიის სსრ.

5. მირ ბაშირ ფატდახ ოღლი **კასუმოვი**, დეპუტატი საბირ-აბადის ოლქიდან, აზერბეიჯანის სსრ.

6. ფილიპე ესეს-ძე **მახარაძე**, დეპუტატი სამტრედიის ოლქიდან, საქართველოს სსრ.

7. მაცაკ პეტროსის-ძე **პაპიანი**, დეპუტატი სტეპანავანის ოლქიდან, სომხეთის სსრ.

8. ხივალი **ბაბაევი**, დეპუტატი ტეჯენის ოლქიდან, თურქმენეთის სსრ.

9. იულდაშ **ახუნბაბაევი**, დეპუტატი ანდიჟანის ოლქიდან, უზბეკეთის სსრ.

10. მუნავარ **შაგადაევი**, დეპუტატი გარმის ოლქიდან, ტაჯიკეთის სსრ.

11. ნურბაპა **უმურზაკოვი**, დეპუტატი ჩიმკენტის ოლქიდან, ყაზახეთის სსრ.

12. მურატ **სალიხოვი**, დეპუტატი ოშკის ოლქიდან, ყირგიზეთის სსრ.

**სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**

13. ალექსანდრე თედორეს-ძე **გორკინი**, დეპუტატი კანაშის ოლქიდან, ჩუვაშეთის ასსრ.

**სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები**

14. მირ ჯაფარ **ბაგიროვი**, დეპუტატი ბაქოს — სტალინის ოლქიდან, აზერბეიჯანის სსრ.

15. ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია**, დეპუტატი თბილისის — სტალინის ოლქიდან, საქართველოს სსრ.

16. ვასილ კონსტანტინეს-ძე **ბლიუხერი**, დეპუტატი ვოროშილოვსკის ოლქიდან, შორეულ-აღმოსავლეთის მხარე.

17. სიმონ მიხეილის-ძე **ბუდიონი**, დეპუტატი შეპეტოვკის ოლქიდან, უკრაინის სსრ.

18. ალექსი ალექსის-ძე **ვოლკოვი**, დეპუტატი გომელის საქალაქო ოლქიდან, ბელორუსიის სსრ.

19. გალიმ **დინმუხამეტოვი**, დეპუტატი ნოვო-შეშმინსკის ოლქიდან, თათართა ასსრ.

20. ანდრია ალექსანდრეს-ძე **ჟდანოვი**, დეპუტატი ვოლოდარსკის ოლქიდან, ქ. ლენინგრადი.

21. იული მოსეს-ძე **კაგანოვიჩი**, დეპუტატი გორკის—სტალინის ოლქიდან, გორკის ოლქი.

22. ალექსანდრე ვასილის-ძე **კოსარევი**, დეპუტატი ორჯონიკიძის ოლქიდან, უკრაინის სსრ.

23. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული **კრუპსკაია**, დეპუტატი სერპუხოვის ოლქიდან, მოსკოვის ოლქი.

24. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მელენკოვი**, დეპუტატი კლინსკის ოლქიდან, მოსკოვის ოლქი.

25. პეტრე გიორგის-ძე **მოსკატოვი**, დეპუტატი შახტის ოლქიდან, როსტოვის ოლქი.

26. კლავდია ივანეს-ასული **ნიკოლაევა**, დეპუტატი კაშინსკის ოლქიდან, კალინინის ოლქი.

27. ალექსი ნიკოლოზის-ძე **პეტროვსკი**, დეპუტატი კრასნოგვარდეისკის ოლქიდან, ქ. ლენინგრადი.

28. ივანე ივანეს-ძე **სიდოროვი**, დეპუტატი ოქტიაბრსკის ოლქიდან, ქ. მოსკოვი.

29. იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი**, დეპუტატი სტალინის ოლქიდან, ქ. მოსკოვი.

30. ადილ-გირეი **ტახტაროვი**, დეპუტატი მახაჩ-ყალის საქალაქო ოლქიდან, დაღისტნის ასსრ.

31. სიმონ კონსტანტინეს-ძე **ტიმოშენკო**, დეპუტატი ხარკოვის სასოფლო ოლქიდან, უკრაინის სსრ.

32. ალექსანდრე ივანეს-ძე **უგაროვი**, დეპუტატი სმოლნინსკის ოლქიდან, ქ. ლენინგრადი.

33. ივანე თედორეს-ძე **ფედკო**, დეპუტატი ჟიტომირსკის ოლქიდან, უკრაინის სსრ.

34. ნიკიტა სერგეის-ძე **ხრუშჩოვი**, დეპუტატი კრასნაია პრესნიას ოლქიდან, ქ. მოსკოვი.

35. რახიმ კირის-ძე **იბრაგიმოვი**, დეპუტატი მელეუზის ოლქიდან, ბაშკირეთის ასსრ.

36. მათე თედორეს-ძე **შკირიატოვი**, დეპუტატი ტულსკ-რიაზანის ოლქიდან. რსფსრ.

37. უსმან **იუსუპოვი**, დეპუტატი ტაშკენტის—სტალინის ოლქიდან, უზბეკეთის სსრ.

შესვენების შემდეგ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო გადადის საერთო სხდომის დღის წესრიგის მე-3 პუნქტის — სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა-განხილვაზე.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, რომელიც თავმჯდომარეობს, კითხულობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას:

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომის თავმჯდომარეს — ამხ. შვერნიკს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-70 მუხლის შესაბამისად და იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი დასმულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად, სახალხო კომისართა საბჭო თავის მოვალეობას ამოწურულად სთვლის და თავის რწმუნებებს იხსნის უზენაესი საბჭოს წინაშე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გთხოვთ აცნობოთ ეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაეს საბჭოს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ვ. მოლოტოვი.

1938 წლის 17 იანვარი“.

უზენაესი საბჭო გადადის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განცხადების განხილვაზე.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ა. ა. ჟდანოვმა, მ. ჯ. ბაგიროვმა, ს. ვ. კოსიორმა გააკრიტიკეს სახალხო კომისართა საბჭოს (ცალკეული სახალხო კომისარიატებისა და კომიტეტების მუშაობა (საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ხელოვნების საქმეთა კომიტეტი და დამზადებათა კომიტეტი).

დეპუტატ პ. ი. შპილევოის წინადადებით, უზენაესი საბჭო ღებულობს შემდეგ დადგენილებას:

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ნდობას უცხადებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ავალებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს წარმოადგინოს წინადადებანი მთავრობის შემადგენლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნანი, გამოთქმულნი კამათის დროს“.

ამით დაიხურა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე საერთო სხდომა.

## კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 19 იანვრის გაერთიანებული სხდომა

[illegible] საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების სახელით დეპუტატი პეტროვსკი წინადადებას იძლევა სსრ კავშირის პროკურორად დაინიშნოს ა. ი. ვიშინსკი.

უზენაესი საბჭო დეპუტატ ა. ი. ვიშინსკის ნიშნავს სსრ კავშირის პროკურორად.

შემდეგ პალატების გაერთიანებული სხდომა გადადის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შედგენის საკითხის განხილვაზე. დეპუტატი ვ. მ. მოლოტოვს უზენაესი საბჭოს განსახილველად შეაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა.

ვ. მ. მოლოტოვი თავის სიტყვაში უპასუხებს დეპუტატთა შენიშვნებსა და კითხვებზე, რომლებითაც ისინი გამოვიდნენ წინანდელ სხდომაზე სსრ კავშირის მთავრობის შედგენის საკითხის შესახებ გამართულ კამათში.

პერსონალური ხმისმიცემით უზენაესი საბჭო ადგენს სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგ შემადგენლობას:



ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი**.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ვლას იაკობის-ძე **ჩუბარი**.
ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანი**.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე — სტანისლავ ვიკენტის-ძე **კოსიორი**.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—ნიკოლოზ ალექსის-ძე **ვოზნესენსკი**.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მაქსიმ მაქსიმეს-ძე **ლიტვინოვი**.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნიკოლოზ ივანეს-ძე **ეჟოვი**.

თავდაცვის სახალხო კომისარი კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვი**.

სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი პეტრე ალექსანდრეს-ძე **სმირნოვი**.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი**.

მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი ალექსანდრე დავითის-ძე **ბრუსკინი**.

თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარი მიხეილ მოსეს-ძე **კაგანოვიჩი**.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარი აბრამ ლაზარეს-ძე **გილინსკი**.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ვასილ ივანეს-ძე **შესტაკოვი**.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი მიხეილ ივანეს-ძე **რიჟოვი**.

[illegible] ხო კომისარი ტიხონ ალექსანდრეს-ძე **იურკინი**.

დამზადებათა სახალხო კომისარი მიხეილ ვასილის-ძე **პოპოვი**.

ფინანსთა სახალხო კომისარი არსენ გრიგოლის-ძე **ზვერევი**.

ვაჭრობის სახალხო კომისარი მიხეილ პავლეს-ძე **სმირნოვი**.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ევგენი დენისის-ძე **ჩვიალევი**.

იუსტიციის სახალხო კომისარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე **რიჩკოვი**.

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი მიხეილ თევდორეს-ძე **ბოლდირევი**.

სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ალექსი პეტრეს-ძე **გრიჩმანოვი**.

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ვასილის-ძე **კაფტანოვი**.

ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ივანეს-ძე **ნაზაროვი**.

უზენაესი საბჭოს სხდომაზე მოდიან მთელი რიგი რესპუბლიკების, ქალაქებისა და ოლქების, მუშების, მუშა - ქალების, კოლმეურნეების, კოლმეურნე-ქალების, ინტელიგენციისა და მოსამსახურეების, აგრეთვე წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დელეგაციები.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის დელეგაციის სახელით გამოდის რადიშჩევის სახელობის სკოლის მასწავლებელი ამხ. ნ. ი. ასტახოვა; ლენინგრადის დელეგაციის სახელით — კიროვის სახელობის ქარხანა — „ელექტროსილას“ ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ე. სკოროხოდატკო; კიევისა და ხარკოვის დელეგაციის სახელით — კიევის ქარხანა „ბოლშევიკის“ სტახანოველი მუშა ამხ. ნ. ტ. კოსტიუკი; ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაციის სახელით მინსკის მოლოტოვის სახელობის ქარხნის მუშა ამხ. ფ. ს. კუსკოვი; თათართა ასს რესპუბლიკის დელეგაციის სახელით — ამხ. სამატ მუხამეტოვი; დონბასისა და სხვა რაიონების მაღაროელთა და მეტალურგთა დელეგაციის სახელით — ტრესტ „დონბას-ანტრაციტის“ მმართველი — ამხ. ფ. მ. რუდენკო; წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დელეგაციის სახელით — კაპიტანი ნ. ნ. გერასიმოვი და უმცროსი მეთაური — წყალქვეშელი — ა. ფ. სელეზნიოვი.

სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. სხდომის თავმჯდომარე, კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. ანდრეევი იუწყება, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხზე უზენაესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებანი მიღებულია ერთხმად, და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიას დახურულად აცხადებს.

---

24 იანვარს საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში გაიმართება

**ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.**

მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **შალვა რადიანი**. სიტყვებით გამოვლენ: **ბ. ჟღენტი** „ლენინი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“. **დ. ბენაშვილი** „ლენინი ქართულ ფოლკლორში“. **ე. პოლუმორდვინოვი** „ლენინი კლასიკოსების შესახებ“.

ლენინისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: **ა. მაშაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ეული, გ. ქუჩიშვილი, გ. კაჭახიძე, დ. შენგელაია, დ. სულიაშვილი, კ. ბობოხიძე, პ. სამსონიძე, ვ. ჟურული, ს. შანშიაშვილი.**

# 90 წელი ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან

## ყაზბეგი, როგორც მსახიობი

დ. ჯანელიძე

უცნაური ბედი ეწვია ამ შესანიშნავ მწერალს. იყო დრო, როცა მის ავტორობას არ დაუჯერეს და „ელგუჯის", „მამის მკვლელის" და „მოძღვარის" ავტორობა მის ბიძაშვილს მიუძღვნეს. ეს არ აკმარეს და ერთი უმართებულო აზრი მის შესახებ დღემდეც კი ცოცხლობს, თითქოს ა. ყაზბეგი სუსტი, ნიჭს მოკლებული მსახიობი ყოფილიყო. აშკარად უნდა ითქვას, რომ ეს აზრი მოკლებულია სიმართლეს, რომ იგი ცრუ და უმართებულოა.

მისაწვდომი მასალის შესწავლა ალექსანდრე ყაზბეგს გვიხატავს აქტიორული ნიჭით და უნარით დაჯილდოებულ პროფესიულ სცენის მოღვაწედ. გარდა იმისა, რომ ყაზბეგი შესანიშნავი ბელეტრისტი იყო, იგი ნაყოფიერი დრამატურგიც და სცენისათვის შეულეველი აქტიორიც აღმოჩნდა.

ყაზბეგს საუცხოო აქტიორული გარეგნობა ჰქონდა. ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ თავისი აქტიორული კარიერა „მოარშიყეების", ე. წ. ჟონ-პრემიერის როლების თამაშით დაიწყო. 1880 წ. გაზ. „დროება" ასე ახასიათებს მსახიობ მოხევის (ა. ყაზბეგის) გარეგნობას: „რაც ახალგაზრდა მოარშიყისათვის საჭირო თვისება არის, თითქმის ყველაფერი მიუნიჭებია ღმერთს ა. მოხევესათვის: კარგი ტანი, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა, ტკბილი, საარშიყო ხმა და არა უშნო სახე" („დროება", 1880 წ., № 224).

მაკო საფაროვ-აბაშიძის სიტყვით, „გარეგნული შეხედულება ისეთი ჰქონდა სანდროს, რომ სილამაზით იმასთან ჩვენს დასში ვერავინ მოვიდოდა: ტანადი, დიდრონი, მომცინარე, ჟუჟუნა თვალები, მშვენიერი ტუჩ-კბილი. ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბ სცენას თავის დღეში არ ჰყოლია ისეთი მორთული არტისტი, თვით წარმოდგენის დროსაც. ამასთანავე წრეს გადასული ზრდილობიანი იყო იგი". (გაზ. „მარჯანიშვილის თეატრი", 1936 წ., № 4).

ა. ყაზბეგი სცენაზე მოღვაწეობის პირველსავე წლებში სწერს და აქვეყნებს „ელგუჯასა" და „მამის მკვლელს". ამ ნაწარმოებთა ავტორი, ცხადია, გამოირჩეოდა ქართველ მსახიობთა წრიდან ქართულის ცოდნით, ენისადმი დიდი პატივისცემით. მას ხმასა და გამოთქმასაც უქებენ. ტკბილი და საამო ხმა ჰქონდა. სცენაზე ფეხი შესდგა თუ არა, მან მხატვრული კითხვის ნიჭი გამოამჟღავნა და რეცენზენტს ათქმევინა: „ეს მეორედ არის, რაც მოხევე ჰკითხულობს ლექსს და ორივეჯერ ხელოვნურის დეკლამაციით წაიკითხა" („დროება", 1880 წ., № 258). მაშასადამე, ამ მხრითაც ა. ყაზბეგი აქტიორული ნიჭით იყო დაჯილდოებული.

მოხევე შესანიშნავად ჰფლობდა თავის ტანს. როგორც მოცეკვავეს, მას, მართლაც, ბადალი არ ჰყოლია. ჯერ კიდევ 1880 წელს მიიქცია მან ყურადღება სცენაზე თავისი მოხდენილი ჩაჩნურის თამაშით. „თილისმის მოარშიყის" დასასრულს, — სწერდა დროების რეცენზენტი, — ქორწილის დროს ითამაშეს ლეკური. ყურადღება მიიქცია ა. მოხევის ჩინებულმა ჩაჩნურმა ლეკურმა. ალტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ სამჯერ გაამეორებინა ცეკვა ამ ღირსეულ ჟონ-პრემიერს და სამჯერვე დაუზოლოვებელი ტაშით და ბრავოთი აჯილდოვებდა მის დარიდიმანდულ ცეკვას" („დროება", 1880 წ., № 249).

ა. ყაზბეგს, როგორც მსახიობს, ერთი ღირსშესანიშნავი თვისებაც გააჩნდა. ის ტაშს არ მისდევდა, მისთვის სცენა „პირად წვრილმანებზე" მაღლა იდგა და მისი ყურადღება სახელის მოხვეჭის ჟინით არ ყოფილა შეპყრობილი. ყაზბეგის ამ თვისებას აკაკიც აღნიშნავს.

ა. ყაზბეგმა მსახიობისათვის აუცილებელი ერთი თვისება იმ თავითვე შეიძინა და ამ მხრივ სამაგალითოც კი გახდა. როდესაც მსახიობს კ. მაქსიმიძეს შენიშნეს სცენაზე მორცხვობა, რეცენზენტი სწერდა: „დროა მიეჩვიოს მაქსიმიძე საზოგადოებას და არ მორცხვობდეს. მაგალითი უნდა მოხევესგან აიღოს" („ივერია", 1886 წ., № 44).

რაც შეეხება მის მეხსიერებას, მის დაკვირვების უნარს, მისი თვალის სიმახვილეს და ამბის სიღრმეში ჩაწვდომას — თვისებებს, რომლებიც ესოდენ ძვირფასი და აუცილებელია მსახიობისთვის, ყველა ამით ყაზბეგი უნაკლოდ იყო დაჯილდოებული, რაც ასე ძალუმად არის გამომჟღავნებული მის მხატვრულ შემოქმედებაში.

ა. ყაზბეგი სცენაზე შევიდა არა იმიტომ, რომ სხვა გზა არ უჩანდა. არა, მას სრულიად გარკვეული მიზანსწრაფვა ჰქონდა, გარკვეული იდეა. თავისი სანუკვარი იდეების ხალხში გამტარებელ საუკეთესო საშუალებად ა. ყაზბეგს სცენა მიაჩნდა და ამიტომ მიმართა თეატრს. თავის ერთ-ერთ შესანიშნავ წერილში („თეატრის შესახებ") ა. ყაზბეგი აცხადებდა: „ჩვენს აქტიორებს სასყიდლისათვის კი არ მიუღიათ თავიანთ თავზედ თეატრის საქმე, არამედ ემსახურებიან იმას იმიტომ, რომ თეატრზედ აქვსთ იმედი, რომელიც ყველაზედ უკეთ თანაშემწეობს დედა-ენის აღდგენას. თუ ეს ამაღლებული აზრი არ აკმაყოფილებდეს ჩვენ აქტიორებს, მაშინ ექვს თუმნად თვეში რომელი სულელი დაადგებოდა ამისთანა ძნელს და მოსაწყენს საქმეს?" („დროება", 1881 წ., № 199).

მაშასადამე, ალექსანდრე ყაზბეგს ყველა აქტიორული თვისებაც გააჩნდა, გარკვეული მიზანსწრაფვაც, მაგრამ საკითხავია — რამდენად შესძლო მან გამოეყენებია და სრულეყო ეს თვისებები სცენაზე, რამდენად წარმატებით მოიხმარა მან ბუნებით მოცემული აქტიორული შემოქმედებისათვის?

ქართულ სცენაზე სანდრო ყაზბეგი 1880 წლიდან სჩანს. იმ თავითვე რეცენზენტები მისდამი ყურადღებას იჩენენ. 1880 წ. ა. ყაზბეგი მონაწილეობას იღებს დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესაში — „სამაგალი". რეცენზენტი მოხევეს თამაშის შესახებ სწერდა: „ვინც იცის — რა უბედურია, რა ძნელია მოსიყვარულე ახალგაზრდა ვაჟის (ჟონ-პრემიერის) როლი, ის დაგვეთანხმება, რომ ა. მოხევე ამ როლს ურიგოთ არ ასრულებს და ის კი უეჭველია, რომ ეხლანდელს ჩვენს გრუპპაში ამ გვარს როლს იმასავით ვერც ერთი ვერ ითამაშებს" („დროება", 1880 წ., № 219).

და შემდეგაც, როდესაც მოხევე თამაშობდა დ. ერისთავის მიერვე გადმოკეთებულ პიესაში: „ქეთილი და უმანკო ანჟელიკი", რეცენზენტი აღნიშნავდა: „თუ ა. მოხევე ასე თანდათან გაკეთდა ახალგაზრდა მოარშიყეების როლში, უეჭველია, რომ ერთ დროს ის საუკეთესო მოთამაშე შეიქნება ამ მძიმე და უმადურ როლებისა" („დროება", 1880 წ., № 224).

ვოდევილში „თილისმით მოარშიყე" მოხევემ იმავე წელს ჯიმშერის როლი შეასრულა და სანაქებოდაც: „ჯიმშერის როლი ჩინებულად შეასრულა ა. მოხევემ" („დროება", 1880 წ., № 249).

ძნელად შესასრულებელ წარმოდგენაში (მოლიერის „ექიმი ავადმყოფი") რეცენზენტმა ა. მოხევე სხვა შემსრულებელთაგან გამოარჩია: „დანარჩენ მოთამაშეთ შორის მხოლოდ მოხევის (კლიანტი) არ წაუხდენია თავისი როლი" („დროება", 1880 წ., № 258).

ა. მოხევემ უკვე მთავარი როლების თამაში დაიწყო. რ. ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებულ ლვოვის პიესაში — „როგორი უნდა იყოს პრისტავი" — თვით პრისტავს (ლევან ამაყიძეს) ა. მოხევე ასრულებდა. და აქაც რეცენზენტი იწონებს მის თამაშს: „ბედნიერად დასძლია თავის უცნაური როლი (პრისტავისა) ა. მოხევემ" („დროება", 1880 წ., № 260).

თუ იმ ხანებში მოხევე-მსახიობი უფრო მეტად არა სჩანს, ეს აიხსნება, ჯერ ერთი, შესანიშნავი მსახიობების (მ. საფაროვ-აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ვასო აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი) გარემოცვით და მეორე კიდევ იმით, რაზედაც რეცენზენტიც მიუთითებდა: „ბატონი მოხევე ყველაზედ უფრო უმადურ როლებს თამაშობს ჩვენს ნორჩ სცენაზე", მაგრამ იქვე დასძენდა: „ამ როლებშიდაც კი ხშირად გამოუჩენია ხელოვნება... და ის ღირსია საზოგადოების თანაგრძნობისა" („დროება", 1881 წ., № 24).

როდესაც აკაკიმ, იმ დროის მეტად მკაცრმა თეატრალურმა კრიტიკოსმა, ანტონოვის „ქორონელის" შესრულება გაარჩია, მოხევე წარმატებულ აქტიორთა გვერდით მოიხსენია: „აბაშიძის მოლა კარგი იყო, მოხევე ძალიან ჰგავდა ახმახ ოსმალოს, გაბუნიას ქალი იცინოდა, მხეიძის ქალი ჩინებული იყო და სხვებს კი შემდეგისათვის ღმერთმა მეტი ში მისცეს" („დროება", 1881 წ., № 41).

სამი წლის სცენაზე მუშაობით ყაზბეგმა ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ მას გაზეთი „ქართული სცენის ერთგულ მოღვაწედ" იხსენიებს („დროება", 1883 წ., № 26). 1883 წლისათვის მოხევის ამპლუა უკვე გამორკვეული იყო: „მოხევეს შეშვენის მოხუცებულების და გლეხკაცების როლები (ამ დროისათვის მას თავისსავე „არსენაში" არსენა ჰქონდა ნათამაშევი). მეორე თავის პიესაში — „ალმზრდელებში" ის მაიორის როლს თამაშობს, რის შესახებაც რეცენზენტი სწერდა: „მოხევე ბებერი მაიორის როლში კარგი იყო და ხელოვნურადაც თამაშობდა. ეს აქტიორი სწორედ თავის კვალში ჩადგა, და თუ წარსულს წლებში თავი ვერ უჩვენია, მხოლოდ იმისთვის, რომ თავის ნიჭიერების შესაფერ გზას არ ადგა" („დროება", 1883 წ., № 248).

ამ წლიდან ყაზბეგი ზრდასა და წარმატებაშია, ის უკვე მთავარ როლებს ასრულებს, მას აძლევენ საბენეფისო წარმოდგენებს დიდ აქტიორების თანატოლად. 1886 წ. „პარიზელ ბიჭში" თამაშობს. რეცენზენტი სწერდა: „არ იყო ურიგო მოხევე ღენერალ მოსენის როლში და როლი რომ კარგად სცოდნოდა, ჩვენ დარწმუნებული ვართ უფრო კარგად ითამაშებდა... ამ უკანასკნელ დროს მოხევე წარმატებაში შედის" („ივერია", 1886 წ.). თუ რაოდენ სიმკაცრეს იჩენდენ რეცენზენტები აქტიორების შეფასებაში, ეს იქიდან სჩანს, რომ იმავე წარმოდგენაში მონაწილე თვით ლადო ალექსი-მესხიშვილზე სწერდნენ: „ამედეის როლი არ გაუფუჭებია, მაგრამ ვერცა რა გააკეთა" (იქვე).

ყაზბეგს, როგორც მსახიობს, მაყურებელთა სიყვარულიც ჰქონდა მოხვეჭილი და ბევრს შურდა კიდეც ის გულწრფელი აღტაცება, რომლითაც მას ხშირად გალიორეია ეგებებოდა.

დასშიაც მან იმთავითვე გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა. ის დასის შეულეველი წევრია, როგორც მსახიობი და როგორც დრამატურგი. მის არქივში 30-მდე პიესა ინახება, რომელთაგან ბევრი წარმატებით იყო წარმოდგენილი. ერთი მათგანი („არსენა") სახალხო პიესად გადაიქცა, თუმცა მისი დაწერიდან თითქმის 60 წელიწადი სრულდება და დღესაც კი რეპერტუარში ცოცხლობს (სოფ. ფშავლის საკოლმეურნეო თეატრი სდგამს, „კომუნისტი", 1938 წ., № 9).

როდესაც პრესაში აქტიორის შეურაცმყოფელი რამ დაიბეჭდებოდა, ქართველი მსახიობის ღირსების დამცველად ა. ყაზბეგი გამოდიოდა. 1881 წ. ვილაც „სცენის მოყვარე" გაზეთში სწერდა: „აქტიორები თამაშობენ და არ იციან, რას თამაშობენ; პიესას არ იცნობენ, მისი შინაარსი ვერ გაუგიათ და, რასაკვირველია, ეს ყველა გონების გაუხსნელობით მოსდით". ამ შეურაცხმყოფელ ცილისწამებას საკადრისი პასუხი გასცა მსახიობმა ა. ყაზბეგმა: „რასაკვირველია, მომეტებული ჩვენი აქტიორ-აქტრისებისა არ არიან უმაღლესი სწავლით, დიდი ნაკითხნი, მაგრამ საამისოდ კი არიან გონება გახსნილნი, რომ როლის ანუ პიესის შინაარსის ასახსნელად ბატ. „სცენის მოყვარეს" არ მიმართონ, იმის შეუწევნელად რიგიანად წარმოადგინონ და ხანდისხან ჩვენი საზოგადოება აღტაცებაშიც მოიყვანონ. იმათი თამაში განსაცვიფრებლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ისინი არ მოუმზადებიათ თეატრისათვის და რაც ქართული წარმოდგენები დაიწყო, არც ისეთი რეჟისორი შეხვედრიათ, რომელსაც სცენა სცოდნოდეს და თამაშის გასწორება შესძლებოდეს" („დროება", 1881 წ., № 199).

1886 წელს, როდესაც სეზონი დამთავრდა, წარმოდგენის ბოლოს მთელი დასი წარსდგა საზოგადოების წინაშე და ა. მოხევემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა: მტერი არ გავახარეთ, ქართული თეატრი ილუპებოდა და ჩვენ ყველამ ერთად, ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვ-აბაშიძის თაოსნობით, ზეზედ წამოვაყენეთ. რაც კი ჩვენს შეძლებაში იყო, ბევრი ვიმეცადინეთ. თქვენც გმადლობთ, რომ ბევრი ჩვენი შეცდომები მოითმინეთ. შემდეგ ყველა არტისტები დოდოკით და ჩირაღდნებით გააცილა ხალხმა და გამოეთხოვენ" („ივერია", 1886 წ., №49).

ასე ემსახურა ხალხს, ქართულ თეატრს სანდრო ყაზბეგი და ის, როგორც თავისი დროის თვალსაჩინო მსახიობი, ღირსეულად უნდა იქნას დაფასებული.

## ყაზბეგის გამოუქვეყნებელ წერილებიდან*)

### მკითხველისადმი

ჩვენდა საუბედუროთ, დღევანდელამდის ქართულს ლიტერატურას კრიტიკოსები იმდენად სუსტნი ჰყავს, რომ კაცს ვერ გაუგია და ვერ ურჩევია რა შეცდომილება ან სიკეთე აღმოაჩინ(ა) დაფუძნებულმა სერიოზულმა კრიტიკამ.

ამისთვის საზოგადოთ ქართველი ავტორი მოკლებულია იმ საშუალებას, რომელიც ისე ხელს უმართავს შემდეგში შესასწორებლად და საზოგადოებისაგან დასაფასებლად რომელიმე თხზულებას. — მაშინ როდესაც ეს გარჩევა, ეს შენიშვნა ყველაზედ მეტად ეჭირებოდა „არსენას", რომელიც ორ კვირაში იქმნა დაწერილი და ნათამაშევი.

რამდენად მიიღო საზოგადოებამ ეს პიესა, რა ღირსება და გავლენა იქონია, ეგ თითონ წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოებამ იცის და მე არც მინდა იმაზედ ლაპარაკი, მაგრამ რომ სრული სიჩუმით გვერდი აუქციოთ იმ ვითომცა კრიტიკოს-რეცენზენტებს, რომელთაც არ დაიზარეს თავიანთი აზრის წარმოთქმა „ივერიაში", „დროებაში", „იმედში" და შემდეგ „შრომაში", არ შემიძლიან!, არ შემიძლიან იმისთვის, რომ დავანახოთ, რამდენად სხვადასხვა რიგათ ესმით და ხედვენ ერთსა და იგივეს.

მაგალითად — „ივერია" ანბობს, რომ არსენა ეფექტებით სავსე არის, რომელიც შეუწყვეტლივ „ჰაიგიდი ბიჭოს აძახებს მაყურებელსო". „სცენა სირაჯთან ჩართულია და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს თითონ დრამასთანო". და სხვა და სხვა. „იმედი" კი ანბობს, რომ აქამდისინ თეატრზედ იმისთვის არასა სწერდა, რომ „სამშობლოსთანა" და „არსენასთანა" დრამები არ დადგმულა ჩვენს სცენაზედ და ამ პიესების შემდეგ ის ყოველთვის ილაპარაკებს"!. „შრომა" ანბობს, რომ არსენაზედ უსუსტესი პიესა არ არის ჩვენს რეპერტუარში, მაშინ როდესაც „დროება" ითხოვს მხოლოდ ორიოდე მანოლოგის შესწორებას და ჰქადის ამ პიესას ერთ უპირველესი ადგილის დაჭერას ჩვენს რეპერტუარში!

ეხლა მითხარით ან მკითხველმა ან ავტორმა, როგორ უნდა გაიგოს, როგორ უნდა ახსნას ეს სიტყვები ან რომელს რა ფასი დაზდოს?.. რასაკვირველია, ამ არეულს და აშკარად აწეწილს ლაბირინტში, კაცი ძნელად გაიგნებს გზას, არავითარი საშუალება არა აქვს მიემხროს რომელსამე აზრს. ამისათვის მე ვკისრულობ, უეჭველად დავბეჭდო ეს პიესა და მით მივცე საშუალება თითონ მკითხველ საზოგადოებას თითონ სხვის შეუწევრად გაიცნონ და დააფასონ ეს პიესა.

სხვათა შორის მე არ შემიძლიან მკითხველი საზოგადოების ყურადღება არ მივაქციო ერთს მხარეს, რეცენზენტებისაგან ისე განკიცხულს და განდევნილს.

ეს გახლავს არსენასაგან კაცის სიკვდილი, რომელიც პიესით არის მოყვანილი და საქმით კი არავითარის საბუთით არ მტკიცდება, რომ არსენას კაცი მოეკლა. ამას ჩემი რეცენზენტები უყურებენ, როგორც შესაძრწუნებელს მოვლენას და იძახიან, რომ ხალხის გმირის კაცნაკლავად გახდ(ომა) მოუაზრებლობაზედ მეტიაო.

მეორეც, ანბობენ, რომ სირაჯის სცენა ჩართულია და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს თითონ დრამასთან. გავსინჯოთ ეს და დავაკვირდეთ კარგად, დრამასთან მართლა დამოკიდებულება არა აქვს რა სირაჯის სცენას პიესასთან და არა შველის არსენას ხასიათის და ბუნების ახსნას? არსენაზე ლექსი მოგვითხრობს, რომ ეს სახალხო გმირი სცარცვავდა მდიდარს და აძლევდა ღარიბს, მაშასადამე, არსენას საკუთრებაზედ და სიმდიდრეზედ სრულებით სხვაგვარი შეხედულება ჰქონდა, ხალხიც, რომელმაც ეს პირი გმირად გახადა, თანაუგრძნობდა იმას და იმის შეხედულებას ამ საქმეზედ, უამისოდ ეს ლექსი ამ სახით ვერ გამოვიდოდა. მე ეს სიტყვები მოქმედებად გადავაკეთე და დავანახვე, რომ ის სულით ამაღლებული და გულკეთილი კაცი, რომელსაც არსენას უწოდებდნენ, რა რიგად გამოიხატებოდა. არსენა წინააღმდეგი იყო კაცის კვლისა, იმას სისხლი კი არ სწყუროდა, ის უსამართლოს — ვაჭარს ახდევინებდა, ართმევდა სხვადა სხვა უსამართლოებით მოპოებულ(ს) და ურიგებდა სხვადასხვაგვარის ძალადატანებით გაღარიბებულს და გაპირვებულ ხალხს. ერთის სიტყვით ეს სცენა მოქმედებით გვიხსნის არსენას ხასიათს, გვირკვევს იმის შეხედულებას და მაშასადამე არ ჩაითვლება ჩართულს სცენად, რომელზედაც შეიძლებოდეს კაცმა სთქვას, რომ ამ სცენას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს პიესასთან.

რაც რომ შეეხება კაცის კვლას, შეემთხვა ეს არსენას თუ არა, ეგ სულ ერთია ავტორისათვის, სულ ერთია იმიტომ, რომ თუ არსენას ფსიქიური მდგომარეობა პიესაში მოითხოვდა კაცის კვლას — უნდა მოეკლა და არა ვითარ დარღვევად ანუ ჭეშმარიტების აცილებად არ ჩაითვლება. ეს არის კანონით დადებული ევროპიული კრიტიკისაგან, რომელიც ვგონებ ცოტა მეტად გამოცდილიც და შემუშავებულიც უნდა იყოს, ვიდრე ჩვენი ნორჩი რეცენზენტების ბავშური ტიტინი.

მაგალითად ავიღოთ ისტორიული დრამა „ჟანა დარკ". იქ არის სცენა, სადაც ეს ქალი მისდევს გაქცეულს მტერს, როდესაც ძალას დაატანს ებრძოლოს და ბოლოს თავისი ხელით მოჰკლამს. ისტორიულად არ მართლდება შემთხვ(ევა), მაგრამ ამგვარი აცილება ისტორიულ ჭეშმარიტებისა არავის არ ჩაუთვლია ავტორის საკიცხავად. არის ადგილები ამ პიესაში, სადაც ისტორიულად სხვა და სხვა ალაგას მომხდარი ბრძოლები შეერთებული აქვს ავტორს ერთად და გამოჩვენებული სცენაზედ როგორც ერთ ადგილას მომხდარად. აქვს აგრეთვე ადრე მომხდარი ეპიზოდი გადაყენებული შემდეგად და შემდეგი უწინ მომხდრად.

მაგრამ რა კი პიესის მდინარეება ამას მოითხოვდა, ევროპის კრიტიკამ იქამდინ თავისუფალი და ფართო გზა დაუთმო სცენას და ავტორებს, რომ ამ გვარის გადადგომით არაოდეს არ ესაყვედურება.

ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად აი რას ანბობს კრიტიკა ამავე „ჟანა დარკ"-ზედ:

(ა. ყაზბეგს აქ ადგილი დაუტოვებია ციტატის ჩასაწერად, მაგრამ შემდეგ აღარ ჩაუწერია)

ამით ვათავებ ჩემს წინა სიტყვის მაგიერს და დანარჩენებს ვუგდებ თითონ მკითხველზედ, რომელიც ჩემთვის ყველაზედ უფრო ძვირფასი დასაფასებელი არის.

*) ა. ყაზბეგის ეს გამოუქვეყნებელი სტატია „მკითხველისადმი" დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერთსაცავში (996, № 14—ა)



## ალექსანდრე ყაზბეგი

დ. ბენაშვილი

არსებობს ლეგენდა ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებიდან, რომელიც ძგრე ახლო გვაგრძნობინებს ამ დიდი შემოქმედის ტრაგიკულ ბედს წარსულში. ლეგენდა მეტად სასტიკი და ულმობელი იყო: მან „სხვისი მქურდავი" უწოდა იმ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი განუმეორებელი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა ხალხის კეთილდღეობის საქმეს და ამავე დროს იწოდა დიდი ხელოვნების მარად ჩაუქრობელი ცეცხლით. იქნებ ეს ულმობელი ლეგენდა იყო მიზეზი იმ საშინელი გულისტკივილისა, რომელმაც ყაზბეგს ათქმევინა: „საკვირველ ბედზედა ვარ გაჩენილი, არ ვიცი, რა ვარსკვლავი მიშუქებდა ამ დღეს, რომელი ღმერთთაგანი თანაგრძნობის და უთანაგრძნობის სხივითა ჰფენდა ჩემს მომავალს,... უეჭველად უნდა აღიჭურვონ ჩემს წინააღმდეგ სხვადასხვა ხარისხის და ღირსების გმირნი, ჩემზე უნდა სცადონ თავიანთი ჭკუა-მახვილობის მჭრელობა, თავიანთი ხუმარა-მასხრობის ფხიანობა და ყველა ცდილობს, უეჭველად თავის მოვალეობად ჰხადის სიცოცხლეშივე მიწაში ჩამფლას, თუნდა თავის მოქმედების მიზეზად საბუთიც არ ჰქონდეს".

ეს სტრიქონები რაღაც ტრაგიკული შუქით ანათებენ ალექსანდრე ყაზბეგის განვლილ შემოქმედების გზას. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც შეგნებულად ზურგი შეაქცია მაშინდელ გაბატონებულ საზოგადოებას და მხატვრული სიტყვის იარაღით ბრძოლა გამოუცხადა მას, ადამიანი, რომელმაც რაინდული გამბედაობით უარი სთქვა დიდებულ კარიერაზე და გენერლის ბრწყინვალე მუნდირს მწყემსის დაკონკილი ტყავი ამჯობინა — საგანი გახდა არისტოკრატების უწმინდურ გულში დაბადებული ღვარძლიანი ლეგენდისა.

„საკვირველია, — სწერდა ყაზბეგი, — პირველი ჩემი ნაბიჯი, ყველამ განურჩევლად ყველამ შასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ: რომ მებატონეს და მასთან სახელოვანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდე ძლიერი იყო, რომ არავითარ რჩევას ყური არ უგდე: მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და ის გაჭირვება, რომელიც თან სდევს მუშა ხალხს".

ალექსანდრე ყაზბეგის მთელი შემოქმედება ამ გულწრფელი განცხადების ბრწყინვალე დადასტურებაა. ზემონათქვამი ფრაზა წარმოადგენს გასაღებს მისი შემოქმედების შესასწავლად.

მართლაც, ყაზბეგი ორგანიულად იყო დაკავშირებული თავის ხალხთან. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ ორიოდე მწერალი თუ შეედრება მას ამ მხრივ. დიდებული მთიელი, შვილი საქართველოს ერთი უმშვენიერესი მხარისა, გახდა იმ გრძნობების მხატვრული გამომსახველი, რომელიც საუკუნეების გრძელ მანძილზე აწვალებდა მთიელი ხალხის გულს. ერთის მხრივ, მემამულეთა ველური უღელი, მეორეს მხრივ — თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკა ანადგურებდა ხალხის სასიცოცხლო ძალებს.

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის დასასრულს რუსეთის ახლად ფეხადგმული კაპიტალიზმი გზას იკაფავდა აღმოსავლეთისაკენ და კოლონიების დაპყრობის გზით ცდილობდა ევროპის მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგომას. აზიის ქვეყნების დაპყრობის გზაზე კავკასია წარმოადგენდა ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს. ამიტომ რუსეთის თვითმპყრობელობამ პირველი იერიში კავკასიაზე მიიტანა. სისხლისმღვრელი ომებით იქნა დაპყრობილი კავკასიის თავისუფალი ხალხები. ამიერიდან ეკონომიური ჩაგვრა, ეროვნული გრძნობის დამცირება, შეურაცხყოფა, სიკვდილი, აწიოკება დაპყრობილი ხალხის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

კოლონიალური ჩაგვრა განსაკუთრებით მწვავედ განიცადა თავისუფლების მოყვარულმა მთიელმა ხალხმა. ისინი ვერ ითმენდნენ დამპყრობელთა ცინიკურ დამოკიდებულებას მთიელი ხალხების ზნეჩვეულებებთან, ტრადიციებთან, ეროვნულ გრძნობებთან. მამაცი მთიელები სიკვდილს ამჯობინებდნენ მონურ სიცოცხლეს; მათ პირველებმა აღიმაღლეს ამაყი და დამოუკიდებელი ხმა ძალადობის წინააღმდეგ. მცირერიცხოვანი მთიელი ხალხი გაბედულად აღუდგა წინ მონარქიული რუსეთის დამპყრობელ პოლიტიკას. ბრძოლა იყო მეტად სასტიკი და ულმობელი. იღვრებოდა ასეულ ადამიანთა სისხლი ქუთიშის მაღლობებზე, წუთახარში, გერგებელთან, სალთავის მთაგრეხილზე, დალიშის ვიწროებში, მიუვალ დეშლაგირთან, ხოჯამახინის ციხესთან, ყაზიყუმიხის სამთავროში, გიმრში, ყარანაევის დაქანებაზე, დარიალისა და არაგვის ხეობებში.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების სარბიელს წარმოადგენს დაპყრობილი მთიელი ხალხის ცხოვრება. იგი გენიალური მხატვრის თვალით უმზერდა ყოველივეს, რასაც ესოდენ დიდი კავშირი ჰქონდა მთიელი ხალხის მუდამ მოძრავ და მომქმედ სულთან. ყაზბეგი თავისუფალი იყო ვიწრო ნაციონალისტურ შეხედულებებისაგან, მისთვის ელბერდი, ჩერმიყი, ჰზალი და ელისო ისეთივე მახლობლები იყვნენ, როგორც იაგო და კობა, ნუნუ და მაყვალა. მას ისევე აწუხებდა სამშობლო მიწა-წყლიდან ძალით აყრილი ჩერქეზის ბედი, როგორც თავის კუთხიდან გარდახვეწილი ონისე.

როცა ადამიანი გონების თვალით აკვირდება ალექსანდრე ყაზბეგის მთელ შემოქმედებას, არ შეიძლება არ იგრძნოს ავტორის დიდი სულიერი ძალა, პრომეთეოსისებური სულისკვეთება: ნამდვილ, რეალურ ცხოვრებიდან იგი ჰქმნიდა ახალ, ზნეობრივ ქვეყანას, სადაც ნუნუ აღარ დასტიროდა დაკარგულ ბედს, ელისოს სიყვარულით სავსე გული აღარ იკვეთებოდა თვითმპყრობელობის ხიშტებით, თავისუფლების მოყვარული ჩერქეზები აღარ იდევნებოდნენ სამშობლოდან, სადაც მთიელი ხალხის ეროვნული გრძნობა შეურაცყოფილი და დამცირებული არ იყო.

ამ აზრით ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ ლიტერატურაში ერთი პირველი მომღერალია კავკასიის ხალხებისა, მას მთელი სულითა და გრძნობით უყვარდა ისინი. გვიხატავს რა მთიელი ხალხის შეტაკებას თვითმპყრობელობის ჯარებთან — მისი ენა ელვაა, იგი ისევე ბრწყინავს, როგორც ელვარე ხმალი.

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც შემომქმედი, განსაკუთრებულ სიძლიერის აღწევს ადამიანის შინაგანი, სულიერი მოძრაობის გადმოცემის დროს. შეიძლება ყაზბეგი ამიტომ არის უფრო მჩურვალე და მგზნებარე იქ, სადაც მისი კალამი შეეხო მომქმედ გმირთა ფსიქოლოგიურ სამყაროს. აიღეთ „მოძღვარი", ეს შესანიშნავი ნიმუში ალექსანდრე ყაზბეგის გენიისა. გაიხსენეთ ამ მოთხრობაში ხევის, სნოსი და გუდამაყრის გაერთიანებული სათემო ყრილობა, რომელიც მკაცრი გადაწყვეტილებით ეძებს მაყვალას ნამდვილ მკვლელს, რათა დაიხსნას ამ ნიადაგზე გადასახლებული უდანაშაულო ონოფრე. მოულოდნელად ყრილობის წინ წარსდგება ტანსაცმელ დაფლეთილი, გულხელდაკრეფილი, საბრალო შეხედულების კაცი. „მე ვარ ცოდვილი და ღირსი სასჯელისა", — წარმოსთქვა უცნობმა. ბოლოს ირკვევა, რომ ის უცნობი იყო ოდესღაც მთაში ვაჟკაცობით განთქმული ონისე. ხალხის ყრილობამ ონისეს აპატია დანაშაული, როგორც უძლურსა და თავის ნებით მისულს. თემის გონიერმა განაჩენმა ონისეს უფრო მეტად აგრძნობინა სულიერი ტკივილი, რაც გამოწვეული იყო მაყვალას სიკვდილით და უდანაშაულო ადამიანის — ონოფრეს დასჯით. ამ გრძნობამ ათქმევინა ის მტანჯველი სიტყვები, რომლების წაკითხვაც მკითხველს უცრემლოდ არ შეუძლიან. დაბეჩავებული, მიწასთან გასწორებული ონისე მიმართავს ხალხს: „არა, ხალხო, არა ჯმუხავ! არა, აგრემც თქვენ ჭირს დავლევ!.. არა ვარ თქვენი წყალობის ღირსი... ეგ წყალობა დიდია, მაგრამ ძნელი, მეტად ძნელი... არა ვარ ღირსი არც იმ პურისა, რომელსაც მომაწვდენს... ვინც ლუკმას მომიშვერს, ის ლუკმა ალალ იქნების და მე კი არამი... ყელ ვეღარ ჩავუშვებს... ჯმუხაისი! შენაი კვნესა მე..: ხალხო, თემო, აგრემ თქვენ ჭირს დავლევ... არ მინდა... მაგათ არ მოვსულვარ. დამნაშავე ვარ, კაცი დაიკარგა ჩემის მიზეზით და მიშველეთ დავიხსნა... მიშველეთ, თემი ხართ, დიდი შეგიძლიანთ... დავიხსნათ და თუნდაც ჩამქოლეთ".

„მე მიყვარდა მაყვალაი, მიყვარდა, ვფიქრობდი, იმედი მქონდა ბედნიერება მეწვივა მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი.... გული გაგიჟდა, გაბრაზდა, სისხლი ამერია... მაყვალა ცხონისთვის ვერ დავთმე და მოვკალ!.. მეგონა მოვკლავ მეთქი და მოვისვენებ მაინც. მაგრამ უფალი დიდი ყოფილა! დღენი მომეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩაესხა... დავდიოდი, ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა თუ მეღვიძა, — ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მწარედ მეჩვენებოდა... წყალი, წყალტიალას რაღამ შეუცვალა გემო!? მზისთვის ვერ შემიცქერია, მთვარესათვის ვერ მიმიხედნია, მრცხვენის... მრცხვენოდის... ჩემი ჩრდილის დანახვისაც კი მრცხვენოდის... ონოფრე შემხვდა, მაზიარა, ყველა გავაგებინე, ყველა უთხარ... იცოდა ჩემი თავგადასავალი... ჩანაობ თავმთელი და თავდატეხილი, ონოფრე არაა დამნაშავე, ონოფრე ცამდის მართალია, მე ვარ, მარტო მე დამნაშავე და იმას უშველეთ! უშველეთ მეთქი, და აჰა ჩემი გული. — ონისე ისევ მუხლებზე დაეცა და ხელების მოკვრით მკერდი გადაიღეო".

ეს ვრცელი ამონაწერი ჩვენ განგებ მოვიყვანეთ იმ აზრის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი გულთამხილავი, ადამიანის ყოველგვარი სულიერი მოძრაობის გამგები იყო ალექსანდრე ყაზბეგი. უფრო მეტი: მან ოსტატის შინაგანი ხილვით იცოდა ტიპიურ გარემოში მყოფ ტიპიურ ადამიანთა მიზნები, მისწრაფებანი, გრძნობანი და განცდანი. რაღაც ჯადოსნური ძალით ხატავდა მათ: პოეტური ფერებით შემკულს შლიდა ჩვენს წინაშე, რათა ჩაგვეხედოს შიგ, როგორც სარკეში, შეგვეყვარეოს მათი განცდები და მისწრაფებები, პატივი გვეცა ყოველივე იმას, რასაც ეს ადამიანები გრძნობენ. როდესაც ვამთავრებთ ნაწარმოების კითხვას, ჩვენ თან გამოგვყვება სულში აღბეჭდილი მისი გმირების სახე, ვფიქრობთ ამ გმირებზე, ძალას ვატანთ საკუთარ თავს მოვსცილდეთ მათ, მაგრამ ჩვენდაუნებურად მიჯაჭვული ვყავართ მხატვრის ძალას. ესაა, თუ გნებავთ, ჭეშმარიტი ხელოვნება.

განა ამ თვისებებით არ ხასიათდება „ხევის ბერი გოჩა"? ვკითხულობთ ამ ნაწარმოებს და ვაოცებს, თუ საიდან მოდის ასეთი უხვი სიმდიდრე არა მარტო სიტყვიერი მასალისა, არამედ გრძნობებისა, აზრებისა, ფიქრებისა? დახურავთ წიგნს, მაგრამ თქვენ თვალწინ სდგას ბებერი ლომივით ფაფარაშლილი თეთრწვერა მოხუცი, ხელხანჯლიანი გოჩა, რომელიც საკუთარ შვილს სჯის სამშობლოს ღალატისათვის. მკითხველი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს უსამართლოდ დევნილს, საბრალოდ ხელნი ბოძზე გაკრულ ნუნუს და ღალატით დაღუპულ იაგოს სახეებს. რა ამოაგდებს მკითხველის გულიდან რაინდული გამბედაობის ვაჟკაცს ელგუჯას და უმშვენიერეს ჩერქეზ ქალს — მზაღოს!

არსებითად ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი გენიალური კალმით შექმნა ტიპების მთელი გალერეა. მისი ნაწარმოების ყოველ გმირს ახასიათებს უდიდესი ოპტიმიზმი. უახლოესი საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში არც ერთი მწერლის მიერ შექმნილ ტიპს იმდენი დაბრკოლება არ ელობება წინ, რამდენიც ყაზბეგის გმირებს. მაგრამ არცერთი მათგანი ისეთი აქტიური ძალით არ იბრძვის ამ დაბრკოლების წინააღმდეგ როგორც ყაზბეგის გმირები. შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც ახალგაზრდა სტალინი გრძნობდა ალექსანდრე ყაზბეგის მიმართ. 1936 წელს „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნებულ სტალინის მოწაფეთა მოგონებებიდან ვიცით, რომ ახალგაზრდა სემინარიელს სტალინს მეფის აგენტებმა გაჩხრეკის დროს, ჰეგელის, მარქსის, ჩერნიშევსკის წიგნებთან ერთად, უპოვეს ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები.

სოციალიზმის ქვეყნის ხალხთა ერთიან ოჯახში ალექსანდრე ყაზბეგის მარად უკვდავ შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს; მისი რომანები საბჭოთა მკითხველს ყოველთვის მოაგონებენ, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი წარსულში, რამდენი ცრემლი და სისხლი დაიღვარა თვითმპყრობელობის ხუნდებ ქვეშ. თუ რა მძიმე და ძნელი გზა გაიარეს ხალხებმა, ვიდრე ისინი შექმნიდნენ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ახალ სამშობლოს, სოციალიზმის უძლეველ ქვეყანას.

## ს. კლდიაშვილის შემოქმედებითი გზა

ს. კლდიაშვილი ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მის ყოველ მოთხრობას, მის რომანს თუ პიესას მკითხველიც და მაყურებელიც ცხოველი ინტერესით ხვდება.

მიუხედავად ამისა, ჩვენი საბჭოთა კრიტიკის მიერ ს. კლდიაშვილის შემოქმედება თითქმის შეუსწავლელია, გამოურკვეველია მისი თავისებურობა, მისი როლი და ადგილი ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ის რამდენიმე კრიტიკული სტატია, რომელიც ს. კლდიაშვილის შემოქმედებას ეხება, არ იძლევა მთლიან და მკაფიო წარმოდგენას ს. კლდიაშვილზე, რომელმაც ამ წერილების დაწერის შემდეგ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, ამ წერილების შედეგად მან გადალახა სამწერლო მუშაობის პირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი სიძნელეები.

იმ დისკუსიამ, რომელიც კრიტიკოსთა სექციამ 14—16 იანვარს მოაწყო, ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. მთელი რიგი მწერლების მიერ გამოთქმული მკაფიო მოსაზრებების სახით დაგროვდა მასალა ს. კლდიაშვილის შემოქმედების შესასწავლად.

სწორად აღნიშნა მომხსენებელმა ამხ. **დ. ბენაშვილმა**, რომ ს. კლდიაშვილი, რომელსაც უკვე დიდი ლიტერატურული გამოცდილება აქვს, როგორც მწერალი ჩამოყალიბდა არსებითად საბჭოთა პერიოდში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე **ს. კლდიაშვილი** მუშათა კლასის იდეოლოგიის, სოციალისტური მშენებლობის ზედმოქმედებით თანდათან აღწევს თავს სიმბოლისტური სკოლის ლიტერატურულ ტრადიციებს და დგება მწერალთა იმ რიგებში, რომლებსაც წილად ჰხვდათ დაეწყოთ ქართული პროზის აღორძინების და შემდგომი შეუჩერებელი აღმავლობის პერიოდი.

სხვა თვალსაჩინო პროზაიკოსების ნაწარმოებებთან ერთად ქართული საბჭოთა პროზის ზრდის მაჩვენებელია ს. კლდიაშვილის პატარა მოთხრობები („აბესალომ ნახუცარა", „სარდიონ შოშიას ვნებანი", „პროვინციის მთვარე" და სხვ.), სვანური ნოველების წიგნი, ყველაზე მეტად კი რომანი „ფერფლი". ამ ნაწარმოებებში ავტორი ზოგან მეტის, ზოგან ნაკლების სიმკვეთრით ჰქმნის ტიპიურ სახეებს ტიპიურ გარემოცვაში, ამჟღავნებს რა თავის ახალ დამოკიდებულებას მოვლენებისა და ადამიანებისადმი, იმ ახალ თვალსაზრისს, რომელიც განსაზღვრავს სოციალისტური რეალიზმის სტილს მწერლობაში.

ს. კლდიაშვილის ნაწარმოებებზე, კერძოდ, „ფერფლზე" ვრცლად ილაპარაკეს მწერლებმა: ს. თავაძემ, ს. ჩიქოვანმა, დ. შენგელაიამ, ე. ასტვაცატუროვმა, ლ. ქიაჩელმა, ა. გაწერელიამ, რ. ქორქიამ, ალ. ქუთათელმა, და ყველა მათგანი ეთანხმებოდა მომხსენებლის აზრს, რომ თავისი მხატვრული სიძლიერით, ფრონტისა და ზურგის მდგომარეობის რეალისტური ასახვით, ამერიონდელი ქართული სოფლის მრავალური ცხოვრების გადმოცემით, ჯარისკაცების, გლეხების, გლეხი-ქალების სახეთა რელიეფური გამოკვეთით „ფერფლი" უსწორდება რუსს და უცხო ავტორების ამავე თემაზე დაწერილ საუკეთესო ნაწარმოებებს. ლ. ქიაჩელის აზრით, „ფერფლი" უფრო ძლიერი იქნებოდა, ავტორს რომ მეტი ყურადღება მიექცია ზოგიერთი ეპიზოდის დრამატიზაციისა და სიტუაციების გამძაფრებისათვის. ე. ასტვაცატუროვს „ფერფლის" ერთ-ერთ ნაკლად მიაჩნია ის, რომ მასში გარკვევით არ ჩანს ბოლშევიკური პარტიის მუშაობა მსოფლიო იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. რ. ქორქიას მოსაზრებით ავტორი არ ღალატობს სინამდვილეს, რომ მას ომის მონაწილედ ქართველი ჯარისკაცი გამოჰყავს, რომელიც, როგორც ახლო რევოლუციური წარსულის მიმართ და 1905 წლის მოძრაობის მონაწილე, არ შეიძლებოდა პოლიტიკურად გაუცნობიერებელი ყოფილიყო. ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა „ფერფლისა", რომელსაც მხოლოდ თემატური მსგავსება აქვს მსოფლიო იმპერიალისტური ომის შესახებ დაწერილ რუსულ და უცხო ნაწარმოებებს, ძალიან დიდია. სასურველი იყო ავტორს განეგრძო ეს ნაწარმოები და ამავე მხატვრული სიძლიერით და უფრო მეტი პოლიტიკური სიმძაფრით მოგვცეს ის დიდი გარდატეხები, რომლებიც მსოფლიო ომს მოჰყვა.

სვანურ ნოველებში ს. კლდიაშვილი უხვევს რეალიზმის იმ ხაზს, რომელიც ასე მკვეთრად გამომჟღავნდა „ფერფლში". ს. კლდიაშვილი, მისდევს რა სტილიზაციას, არომანტიულებს სვანეთის ყოფა - ცხოვრებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საფუძველს მოკლებულია ის მოსაზრება, თითქოს ეს ნოველები უიდეო ნაწარმოები იყოს. სვანურ მოთხრობებში ავტორი მაინც სდგას სისხლის აღებისა და სხვა დრომოჭმული ადათების წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციაზე და თუ იგი ხანდახან სიმპატიურად გვიხატავს გადასული ეპოქის ადამიანებს — სვან ვაჟკაცებს, — ეს იმიტომ, რომ ავტორი მათში ხედავს მთლიან გაუხზარავ ჰარმონიულ პიროვნებებს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა მწერლობაში ს. კლდიაშვილს, როგორც ჰუმორისტული ნოველების ავტორს. ს. კლდიაშვილის ჰუმორი საღი, ოპტიმისტური, ჰუმორია, გამარჯვებული კლასის წარმომადგენლის სიცილი და დაცინვა იმ ძველი სოციალური ფენების ნაშთებზე, რომლებიც კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილან ან იმის გამო, რომ ხელი მოუკიდნიათ მათი წინანდელი პროფესიისათვის შეუფერებელი და შეუსაბამო საქმისათვის (წინათ ხუცესი —ახლა მიკიტანი: „აბესალომ ნახუცარა") ან მოუნდომებიათ შეათავსონ ახალ ვითარებისადმი გარეგნული შეგუება შინაგან ფსიქოლოგიურ შეურიგებლობასთან (ღვთის მორწმუნე ჩინოვნიკი სარდიონ შოშია ხდება უღმერთოთა კავშირის აქტიური წევრი მხოლოდ იმ მიზნით, რომ დამალოს თავისი მორწმუნეობა და თანამდებობა შეინარჩუნოს). ს. კლდიაშვილის ერთ-ერთი თვალსაჩინო სატირული ნაწარმოებია „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი", რომელიც უკვე გადაიქცა ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ წიგნად და რომელიც აშკარავებს, თუ რა დიდი უნარი შესწევს მის ავტორს კომიკური სიტუაციების შექმნისა და გამოგონებლობისა.

გაცხოველებული კამათი და აზრთა გაცვლა - გამოცვლა გამოიწვია ს. ჩიქოვანისა და დ. შენგელაიას მოსაზრებამ, თითქოს ს. კლდიაშვილს ჯერ კიდევ საკმარისად გამომუშავებული არ ჰქონდეს თავისი საკუთარი სტილი, თხრობის საკუთარი მანერა, თითქოს ს. კლდიაშვილის სტილი სხვა იყოს „ფერფლში" და სულ სხვა სვანურ ნოველებსა და ჰუმორისტულ მოთხრობებში. ყველა ჟანრის ნაწარმოებში ს. კლდიაშვილი ერთი გარკვეული სტილის მწერალია, მისი ფრაზა ყველგან ლაკონიური და ლაპიდარულია, განტვირთულია სუსტი შედარებებიდან, გარეცხული სამკაულებისგან, თავისუფლდება დეკლარაციული ფრაზებისაგან, ინტონაციისაგან, რაც მის თხრობას დამშვიდებულ ტონს და დამაჯერებლობას აძლევს. ს. კლდიაშვილს ახასიათებს არა ეფექტური, საკვირველი ამბების გამოდევნება, არამედ სიტუაციების და ჩვეულებრივი ადამიანების დახატვა დეტალებით, რომლებიც არ ეთიშებიან თხრობის მთლიან ძაფს და ორგანიულად შედიან ნაწარმოების ქსოვილში.

მეტად საგულისხმო და თვითკრიტიკული იყო თვით **ს. კლდიაშვილის** სიტყვა. მან სწორად აღნიშნა, რომ მწერალს არ უნდა მარტო ფორმალური ოსტატობა, თუ მის კალამს არ ამოძრავებს ჩვენი ეპოქის დიდი იდეები. სოციალიზმის ახალი მრავალი გამარჯვება, უშუალო მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში, მუდმივი კავშირი მასებთან აძლევს მწერალს უდიდეს შემოქმედებით ძალას. ამ ძალით აღჭურვილი მწერალი მოსცემს ახალ მხატვრულ ნიმუშებს და გამოხატავს სამუშაოებს ჩვენი დიდი ცხოვრების და ჩვენი ეპოქის გმირი ადამიანების დასახატავად.

## ლიტერატურული კალენდარი

შესრულდა 200 წელი, რაც გარდაიცვალა ვახტანგ მეექვსე. საბას შემდეგ არ მოიპოვება მე-18 საუკუნის მწერალი, რომელსაც ვახტანგის ოდენა ამაგი დაედოს ქართული კულტურის განვითარებისათვის. ვახტანგი იყო პირველი მეცნიერი რუსთველოლოგი, ისტორიკოსი, მკვლევარი კომენტატორი, დიდი მცოდნე ქართული და მსოფლიო სამართლისა, ჩინებული პოეტიც. აი როგორია ზოგადად მისი დახასიათება. გარდა ამისა, ვახტანგი ის ადამიანია, რომელმაც მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში გამოსცა „ვეფხის-ტყაოსანი" და რომელმაც ამ უკვდავი პოემის პირველი ბეჭდური გამოცემა მოგვცა 1712 წელს.

ვახტანგ მეექვსის ცხოვრება დაკავშირებულია მე-18 საუკუნის ისტორიულ ქარტეხილებთან. იგი დაიბადა 1675 წელს („ქრონიკები" თ. ჟორდანიასი, II, გვ. 490). მას ჯერ კიდევ ბავშვობაში მიუღია შესაფერი განათლება: „სადგოთაც ვიცოდი, საქროც"-ო, აცხადებს ერთგან თვითონ პოეტი (წ.-კ. ხელთნაწერი, № 4500, გვ. 256). 1703 წელს პოეტი ქართლის გამგედ გამხდარა. ქართლს ვახტანგი განაგებდა 1712 წლამდე. ამ პერიოდში მოჰკიდა მან ხელი მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობას. 1703 წელს ტფილისში დაარსა სტამბა, სადაც დაიბეჭდა არა ერთი ქართული წიგნი.

1712 წელს ვახტანგს ირანის შაჰის კარზე ვხედავთ. ირანში მას აცხოვრებენ ხან ისპაანს, ხან ქირმანს. ამ პერიოდში მოჰკიდა მან ხელი „ქილილა და დამანას" თარგმნას. თავის მიერ რედაქტირებული ეს თხზულება ვახტანგმა საბას გამოუგზავნა ქართლში და დაავალა: „გემუანად გაჩალხე"-ო.

1719 წელს ვახტანგს ტფილისში ვხედავთ სამეფო ტახტზე. აღმოსავლეთის გამოჩენილი ხანები ყოველგვარ ღონეს მიმართავდნენ გადაებირებინათ ქართველი მეფეები. პირველ ხანებში ვახტანგის არა ჰქონია ერთი გარკვეული პოლიტიკური ორიენტაცია. დავით გურამიშვილის თქმით:

„სამ დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს,
სამგან იკეთებს ყმობასა,
ყეენის სპასალარია,
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს,
ხვანთქართან ჩემობს ძმობასა".

ირანიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგს მეფის რუსეთის, პეტრე დიდის იმედი ჰქონდა. პეტრემ კიდეც მოუწოდა ვახტანგს — მოდი შენი ჯარით დერბენდს ირანელების წინააღმდეგ სალაშქროდო, მაგრამ ამან უშედეგოდ ჩაიარა.

ვახტანგის მოღვაწეობაში 1723-24 წელს დადგა მეტად მძიმე პოლიტიკური კრიზისი. ვახტანგზე გაჯავრებულმა შაჰმა ქართლის ტახტი კახეთის მეფეს კონსტანტინეს გადასცა. ქართლ-კახეთს თურქებიც მიესივნენ. ეს მოხდა 1723 წელს.

ამის შემდეგ ვახტანგი ემიგრანტი ხდება. 1724 წელს იგი იძულებული გახდა 1000 თუ 1400 კაცისაგან შემდგარი ამალით რუსეთს გადასახლებულიყო. ეს გადასახლება მშვენივრად აღწერა პოეტმა ფავლენიშვილმა (პოემა „ვახტანგიანი"). იგივე დ. გურამიშვილმაც აღნიშნა.

გადასახლებულნი პეტრე დიდს მიმართეს, მაგრამ სანამ ვახტანგი რუსეთის სატახტო ქალაქში მიეიდოდა, 1725 წელს, პეტრე დიდი გარდაიცვალა.

ახლად ტახტზე ასული დედოფალი, პეტრე პირველის ცოლი ასეთი „თანაგრძნობით" შეხვდა ვახტანგს:

„შემამატე ზღვის პირები, სხვათ სამეფო დიდი ნიჭისა,
სვიანობა ჩემი ყველა განაფინე მზავესად მზისა".
(პოემა „ვახტანგიანი").

დაწვრილებით არ არის შესწავლილი, როგორ გაატარა ვახტანგმა ცხოვრება რუსეთში. პოეტი სწერს, თანამედროვენიც „სძრახავდნენ", რომ მან სამშობლო მიატოვა:

„მეფეს არჩილსა სძრახავდნენ, სხვას
თემს რომ იყო მელღიო,
მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ,
მაშ რა ვქნა რა საქნელიო".

უკანასკნელი წლები ვახტანგმა ასტრახანში გაატარა და 1737 წლის 26 მარტს ამავე ქალაქში გარდაიცვალა. დაასაფლავეს იქვე.

ვახტანგის მოღვაწეობაში ორი მხარეა ცნობილი: სამეცნიერო-ლიტერატურული და პოეტური. „ვეფხისტყაოსნის" გამოცემის გარდა, ვახტანგმა შეადგინა სათანადო კომისია, რომელმაც დაამუშავა ქართული სამართლის წიგნი, „ქართლის ცხოვრება" და სხვ.

ვახტანგის პოეტურ შემოქმედებაში გამოიყოფა თარგმნილი და ორიგინალური ნაწერები. ვახტანგს უთარგმნია და გადმოუკეთებია „მოკლედ სიტყვის გება სოკრატისა", უბრძანებია გადმოეთარგმნათ „ბახტიარნამე" ფანაისა. „მოკლედ სიტყვის გება სოკრატისა" დიდაქტურმორალისტური თხზულებაა და გათვალისწინებული ყოფილა ყრმათათვის (ჯერ ნაწყვეტებადაა მხოლოდ გამოქვეყნებული, დაცულია წ.-კ. ფონდის № 4500 ხელნაწერში).

ორიგინალურ ლექსებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მისი „მაჯამა". მაჯამა ვახტანგს ისე ესმოდა, როგორც მის წინამორბედებს, თეიმურაზ I-ს, არჩილს: აქ მთლიანობა ცალკეული ადგილები სხვადასხვა ლექსიდან და სარითმო სიტყვები ორნიშნებს შეიცავენ.

ვახტანგს უწერია გუგიები. ამ მხრივ გამოირჩევა ლექსები „ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო", „მე შევამკე ცა, ქვეყანა", „ვაი რა მწარედ იწოდა ნაწყლებ მარაიისა" და სხვა. პირველ ლექსში პოეტმა გადმოგვცა მეტად ძლიერი ერემიადა:

„რა დავიბადე სოფლად, ვაბადე, ვაი
სიკვდილო, მწარე სიკვდილო
მეგონა რამე სოფლისა რამე, ვაი...
მოვჭვდე სოფლისა ავის მეყრებისა, ვაი..
განცვხერ ვაშვებდი, ვერ გავიშვებდი,
ვაი...
მატკბო-მაგემა, არად სარგება, ვაი".

ვახტანგმა „აბანთქებაც" დაწერა. მისი „აბანთქება" აგებულია ანბანის თანმიმდევრობაზე სიტყვებსა და სტროფში:

„ასრე არის აგებული ამგებელსა აქ
აქებდეს,
ჰკობდეს და ადიდებდეს ამისთვისვე
აქ აქებდეს,
ამზრზენელსა, აღმშფოთველსა
ანაცრებდეს, აქ აქებდეს,
არმულსკენ ამწეველსა ალმას აფისა
აქ აქებდეს,
(იხ. წ.-კ. ხელნაწ. № 342).

ვახტანგის მთელი ეს მემკვიდრეობა ახალ გამოკვლევა-შესწავლას მოითხოვს. გარდა მის მიერ გადამუშავებული კანონებისა და „ქართლის ცხოვრებისა" და რესტავრირებული „ვეფხის-ტყაოსნისა", მისი თხზულებანი გამოცემული არ არის. ორიოდე ლექსი ვახტანგისა „ანთალოგიაში" (1928 წ., ტ. 2) გამოქვეყნდა. ვახტანგის ლექსების ხელნაწერები აღწერილია «Описание рукописей». Том II—ში, ხოლო ისტორიულ - ლიტერატურულად გაარჩია პროფ. კ. კეკელიძემ (იხ. „ქართ. ლიტ. ისტორია", ტ. 2).

**ტ. რუხაძე**

## ნ. ა. ნეკრასოვის ხსოვნის საღამო

19 იანვარს მწერალთა სასახლეში მოეწყო დიდი დემოკრატი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

ვრცელი მოხსენება ნ. ა. ნეკრასოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა **ვ. გაფრინდაშვილმა**. ამავე თემაზე სიტყვებით გამოვიდნენ: **ვ. გორგაძე** და **დ. წულუკიძე**.

როგორც მომხსენებელმა, ისე გამოსულმა ორატორებმა ნ. ა. ნეკრასოვის პოემების და ლირიკული ლექსების ანალიზით ცხადჰყვეს ამ დიდი პოეტ მოქალაქის უდიდესი როლი რუსეთის დემოკრატიულ რევოლუციურ მოძრაობაში და რუსული მწერლობის განვითარებაში. ნ. ა. ნეკრასოვის შემოქმედება, რომელზედაც აღიზარდა რევოლუციონერთა მთელი თაობა, დღესაც ინარჩუნებს ზედმოქმედების დიდ ძალას და შედის სოციალისტური კულტურის საგანძურში.

სიტყვების წარმოთქმის შემდეგ პოეტებმა წაიკითხეს ნ. ა. ნეკრასოვის ლექსების და პოემების საკუთარი თარგმნები: ხ. ვარდოშვილმა — „რკინის გზა", დ. გორგაძემ „რაინდი ერთი საათით", ს. ეულმა „მეგობრისადმი" და ვ. გაფრინდაშვილმა დიდი პოეტის ორი ლექსი და მისადმი მიძღვნილი თავისი საკუთარი ლექსი.

საღამო დამთავრდა ს. ეულის დასკვნითი სიტყვით. აუდიტორია დიდი კმაყოფილებით შეხვდა ს. ეულის ცნობას, რომ უახლოეს თვეებში გამოიცემა ჩვენი პოეტების მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ნ. ა. ნეკრასოვის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული.



XVII საუკუნის ხელნაწერის გვერდის მინიატურა.



სამწევრისიდან ჩამოტანილი მოჩუქურთმებული აგური შოთა რუსთაველის ეპოქა. გამოფენის მასალებიდან

## თ. პანფეროვის შეხვედრა ქართველ მწერლებთან

ამჟამად ტფილისში იმყოფება ცნობილი რუსი საბჭოთა მწერალი თ. პანფეროვი. პანფეროვს კარგად იცნობს მასობრივი მკითხველი, იგი ერთ-ერთი იმ რუს მწერალთაგანია, რომელიც მუდამ აქტუალურ თემებზე მუშაობს. მისი რომანი „ბრუსკი", რომელიც ოთხ წიგნად არას დაწერილი, მკითხველის წინაშე შლის ბრძოლისა და მშენებლობის ახალ ქვეყანას. დიდი სისადავითა და სიღრმით დაწერილი ეს ნაწარმოები გვიხატავს იმ უდიდეს ძვრებს, რომლებიც განიცადა რუსეთის გლეხობამ ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

ამ დიდ ეპოპეაში სჩანს ჰკვიანი, ნიჭიერი, მასალაზე გულმოდგინედ მომუშავე დაკვირვებული მწერალი.

ამჟამად თ. პანფეროვი მუშაობს პიესაზე კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებიდან. ისახავს რა ამ შემოქმედებით ამოცანას, თ. პანფეროვი მოგზაურობს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში და აგროვებს მასალას ამ თემის დასამუშავებლად.

კერძოდ, თ. პანფეროვმა კონსტ. ლორთქიფანიძესთან ერთად შემოიარა გურია, იმერეთი და კახეთი, გაეცნო ახალი სოფლის ადამიანებს, მათ შრომასა და ყოფა-ცხოვრებას.

17 იანვარს ამხ. თ. პანფეროვმა თავის შთაბეჭდილებები გაუზიარა ქართველ მწერალთა აქტივს, რათა შეემოწმებია, თუ რამდენად სწორია ამ შთაბეჭდილებათა მიხედვით გამოტანილი დასკვნები. მწერლებთან საუბარში პანფეროვმა განაცხადა, რომ ახლად მოსულის თვალს განსაკუთრებით ხვდება ქართული სოფლის მაღალი კულტურული დონე. სოფლად ყველა კითხულობს და სწავლობს, გლეხებს გამოწერილი აქვთ გაზეთები, აქვთ სამეურნეო და მხატვრული წიგნები, ქართველი გლეხი ყველაზე დიდ განძად ცოდნასა სთვლის. კულტურა სჩანს გლეხობის ჩაცმულობაში, საცხოვრებელი ბინების მორთულობაში, კარმიდამოს კეთილმოწყობაში. გლეხებს აუშენებიათ და აშენებენ ახალ ოდა-სახლებს, შეუძენიათ ავეჯი, საკრავი იარაღი, მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია ცვლილება მათ სულიერ ცხოვრებაში, კერძო ინიციატივა ამოქმედებულა მთელი საზოგადოების სასარგებლოდ. ახალი გლეხობა აღჭურვილია, ულრმესი რწმენით კოლექტივის ძალისადმი და დიდი ნდობით სოციალისტური საზოგადოებისადმი. ძველებური დავა, შური, შუღლი და მტრობა მეზობლების შორის აღარ არის, ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობა, პატივისცემა და სიყვარული სხვა ეროვნების მშრომელისადმი ძვალრბილში აქვს გამჯდარი კოლმეურნე გლეხობას.

ყოველივე ამას, — ამბობს ამხ. პანფეროვი, მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ, როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიც, განსხვავება მუშისა და კოლმეურნეს შორის ისპობა, რომ კოლმეურნის შეგნებაში ინდივიდუალურზე იმარჯვებს საზოგადოებრივი სულისკვეთება, რომ მთელი თავისი მისწრაფებებით და კულტურული დონით სოფელი უახლოვდება ქალაქს. ამხ. თ. პანფეროვმა ეს თავისი დასკვნები დაასაბუთა მრავალი დამახასიათებელი წვრილმანით, რომელიც ცხადყოფს ქართველი გლეხობის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს.

ქართველმა მწერლებმა, რომლებმაც დიდი ინტერესით მოისმინეს თ. პანფეროვის დაკვირვებანი, განმარტეს ზოგიერთი რამ, რაც პანფეროვისათვის ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო.

დასასრულ საუბარი გადავიდა ლიტერატურულ საკითხებზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს გ. ქიქოძემ, ლ. ქიაჩელმა, კონსტ. ლორთქიფანიძემ, პ. ჩხიკვაძემ, ვ. წულუკიძემ, ალ. ჭეიშვილმა, დ. შენგელაიამ, ბესო ჟღენტმა და სხვებმა.

**დისკუსია ქართულ საბჭოთა პოეზიის საკითხებზე**

25 იანვარს მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექცია მწერალთა სასახლეში აწყობს დისკუსიას შემდეგ თემაზე:

**„ქართული საბჭოთა პოეზია 1937 წელს"**

მომხსენებელი ამხ. **გიორგი ნატროშვილი**.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, კრიტიკოსები, მკითხველები.

დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

## ბედნიერების სიმღერები

**გ. ნატროშვილი**

საბჭოთა პატრიოტიზმი უძლიერესი გრძნობაა, რომლითაც ღრმად გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის ხალხთა მილიონების შეგნება. სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო თორმეტი დეკემბერი—უზენაეს საბჭოს არჩევნების დღე. ქართველ საბჭოთა პოეტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გაიგეს თორმეტ დეკემბრის თარიღის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ამას ამტკიცებს კრებული „ბედნიერების სიმღერები", რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლების თითქმის ყველა საუკეთესო ძალამ.

ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში საუკეთესო ტრადიციად გადაიქცა თემატიური კრებულების გამოცემა. ამ რამდენიმე ხნის წინად გამოვიდა საუცხოო კრებული ახალ კოლხიდაზე, შოთა რუსთაველზე. ამ კრებულებში ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით დარაზმული გამოდის საბჭოთა მწერლობა, რათა არა შიშველი ფრაზით, არამედ ცოცხალი საქმით დაამტკიცოს თავისი სიყვარული სამშობლოსადმი, ერთგულება კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის დიდი სტალინისადმი. ქართველი მწერლების ასეთივე კოლექტიური ფიქრი და გრძნობაა გადმოცემული „ბედნიერების სიმღერებში".

მაღალი შემოქმედებითი აღმაფრენა გამოიწვია ქართულ საბჭოთა მწერლობაში თორმეტმა დეკემბერმა. ეს სიამაყე და სიხარული სამშობლოს უმაგალითო გაფურჩქვნით კარგადაა გამოხატული **ალ. აბაშელის** ლექსში „ბრწყინვალე თარიღი". პოეტმა ლამაზი მხატვრული ფორმით გამოხატა ის ჭეშმარიტება, რომ ამ არჩევნებზე ხალხმა ხმა მისცა თავის ბედნიერებას, ხმა მისცა „მზიან ახალ თაობას" და „შარავანდით მოსილ ჭადარას", ხმა მისცა „შრომის ახსნილ სიმართლეს" და „ერთა ძმურ კავშირს", „შემოქმედების აღორძინებას" და „თავისუფალ სიტყვის ნათებას", „მოოქრულ ყანას" და „მადლიან შრომით სავსე დროებას", ხმა მისცა დიდ სტალინს და მის მიერ აღზრდილ ფოლადის არწივებს. აბაშელის ლექსში სჩქეფს თორმეტ დეკემბრის ენთუზიაზმი და სიხარული, რომელიც მძლავრ ტალღად გაიშალა მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე. პოეტი სწერს:

„...ეს წელი და ეს თარიღი
კაცობრიობას მუდამ დარჩება,
როგორც სინათლე უმხურვალესი,
მზადან პირველად გულს ჩაღვრილი,
როგორც პირველი გრძნობის ალერსი,
პირველი თრთოლვა და სიყვარული".

„ბრწყინვალე თარიღი" და საერთოდ აბაშელის უკანასკნელი ლექსები ნათლად მეტყველებენ, რომ პოეტმა შეითვისა და ორგანიულად შეიგრძნო სოციალისტური მწერლობის პათოსი.

საბჭოთა ახალგაზრდობის სიხარული და გატაცება, საბჭოთა ახალგაზრდობის ღრმა სიყვარული პარტიისა და სამშობლოსადმი გამოხატულია **ირაკლი აბაშიძის** ლექსებში: „საოქტომბრო მიძღვნა ამხანაგ ლ. ბერიას", „ხმას ვაძლევ" და „გმირები". ბრწყინვალე ყრმობას, ბედნიერ სიჭაბუკეს უმღერის პოეტი ღრმა ემოციური განცდით და სიხარულით, უმღერის იმ უდიადეს და უძვირფასეს უფლებებს, რომელნიც მიანიჭა მთელ საბჭოთა ხალხს და კერძოდ ახალგაზრდობას სტალინურმა კონსტიტუციამ.

ი. აბაშიძე სწერს:

„მე და ჩემს ტოლებს რა გვქონდა
ძველი?
არც სავალი გზა — თითის დადებაც,
მოვიდა ცხრაას ჩვიდმეტი წელი,
მან მისცა აზრი ჩვენს დაბადებას,
. . . . . . . . . .
ასე გვეღირსა ბრწყინვალე ყრმობა
ჩვენ, დუხჭირობის შთამომავლებს".

აბაშიძემ ამით გამოსთქვა გულისთქმა საბჭოთა ახალგაზრდებისა, რომელნიც აღზრდილნი არიან შრომის, კულტურისა და მეცნიერების სიყვარულის საფუძველზე, რომელნიც ჩვენმა დრომ გადააქცია მაღალი კულტურის ადამიანებად, კულტურის არა მარტო მომხმარებლებად არამედ მის შემქმნელებადაც.

გულწრფელი პათოსით და სიყვარულითაა დაწერილი ი. აბაშიძის ლექსი ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის, ნაცადი სტალინელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** შესახებ.

ნაწილობრივ რიტორიული და გაუმართავია **შალვა აფხაიძის** ლექსი „ორი საათი დაუვიწყარი". ამ ლექსში არის მთელი რიგი ბუნდოვანი გამოთქმები. რას ნიშნავს, მაგ., „მზის გუგუნი დროით მიუყუჩდა"? განა მზე გუგუნებდა როდისმე? ან კიდევ:

„ვით გაზაფხული სიტყვა ამწვანდა —
ჩვენა ცხოვრების გვირგვინს რომ
კვეთავს".

არის ლექსში ასეთი ადგილიც:

„ვზიავრთ... კავშირის თითქოს ყვავილთა
თან შემოიჭრა ოთახში ბუქი
და არწივებს გმირების ხმითა
ცად მიბჯენილი ჩამოდგა შუქი".

გაუგებარია, რა არის ეს კავშირის ყვავილთა ბუქი და როგორ შეიჭრა იგი ოთახში?!

პოეტური ოსტატობით და ინტიმური პათოსით გამოირჩევა **რ. გვეტაძის** ლექსი „ვინც მზესავით ანათებს". ლექსში პოეტი გვიჩვენებს როგორ ყოვლადღიურად იხსამს ხორცს სტალინის აზრები, როგორ ხდებიან ყოველ წუთს და ყოველ დღეს ამ დიდი ადამიანის გენიალური ფიქრები ულამაზეს სინამდვილედ, გვეტაძე გვიხატავს იმ მშობლიურ მზრუნველობას, რომელსაც იჩენს საბჭოთა ხალხებისადმი ამხანაგი სტალინი. პოეტი სწერს:

„ქვეყნებს ასე ვინც მზესავით ანათებს,
სტალინია, — მუხა ფესვებ მაგარი.
სტალინია,—ებრძვის კვლავ მუხანათებს,
რომ დაიცვას ხალხის ნაამაგარი".

პოეტი **ი. გრიშაშვილი** წარმოდგენილია ერთი ლექსით—„წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან". ოდესღაც ძველი აზიური ტფილისის ტრუბადურმა და ყარაჩოღული ბოჰემის რომანტიკოსმა გრიშაშვილმა შესძლო საფუძვლიანად შემობრუნებულიყო საბჭოთა სინამდვილისაკენ. ამ მხრივ მან მეტად საინტერესო შემოქმედებითი ევოლუცია განიცადა. ერთგვარი პოეტური დუმილის შემდეგ მან კვლავ განაახლა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა და დაუახლოვდა სოციალისტურ თანამედროვეობას, ამის ნათელი ილუსტრაცია ზემოხსენებული ლექსია. ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია იმ მხატვრულ ნაწარმოებებიდან, რომლებიც ჩვენმა პოეტებმა უზენაეს საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მიუძღვნეს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. გრიშაშვილი სწერს ბელადის შესახებ:

„ბავშვმაც კი იცის შენი სახელი,
დედის ძუძუსთან გახსენებს ბელადს,
რამდენი ხმაც გვაქვს, იმდენი ხელი
შენს დასაცავად წამოვა ხელად.
ვინც უნდა იყოს შენი ამრჩევი,
ჩემი ხმა მინდა მანდ მოგაწვდინო,
იყავი, ხარ და ასე დარჩები
ჩვენო სიმღერავ, გულო და ტვინო".

ემოციური სიღრმე, მგზნებარე ლირიკული გატაცება და პოლიტიკური გამჭრიახობა ახასიათებს ორდენოსანი პოეტის **ალიო მაშაშვილის** ლექსს „ჰიმნი სამშობლოს". მაშაშვილი მისთვის ჩვეული გატაცებით უმღერის აყვავებულ სამშობლოს, რომელსაც ბრწყინვალე სტალინური მზე დაჰნათის. ამ ლექსში კონკრეტულ ლირიკულ სახეებშია გადმოცემული დიდი პოლიტიკური ჭეშმარიტებანი. ამ მხრივ მაშაშვილის ლექსი ახალი სოციალისტური ლირიკის საუცხოო ნიმუშია. ოპტიმიზმი, ჩვენი სამშობლოს უძლეველობის ურყევი რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ბუნება, ჩვენი ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრება, რომელშიაც ჰარმონიულად გაერთიანებულია შრომა და სილამაზე,—აი რა საკითხებზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას მაშაშვილის ლექსი. განსაკუთრებით კარგია ლექსის დასასრული, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეხება:

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც ჰშობა გმირი სტალინი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა.
როგორ დაჭკნება მთების მშვენება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?
. . . . . . . . . . .
ალისფერია შენი მიდამო,
ეგ შენი დროშაც ალისფერია,
შენი სიცოცხლე არის სტალინი
შენი მარჯვენა არის ბერია!"

მაშაშვილის ლექსში მძაფრი ისტორიული კონტრასტის სახით დაპირისპირებულია ძველი მწარე „ბედი ქართლისა" და დილის მზესავით გაფურჩქვნილი, თავისუფლების შუქურა სხივებში გახვეული ორდენოსანი საქართველო,—ეს ლამაზი ქვეყანა „პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა". მაშაშვილის ლექსში ღრმად შეგრძნობილია და ჩუქურთმოვან სახეებში გამოკვეთილია ეპიკალური სიბრძნე, „საგმირო და საამური შრომის ღაღადი".

დიდი სტალინის სამშობლო ქალაქს—გორს ეხება ორი საუცხოო ლექსი: **ს. ჩიქოვანის**—„გორის ციხე" და **გ. ლეონიძის**—„ბელადის კერა". საერთოდ სამართლიანად ცნობილია, რომ სიმონ ჩიქოვანი ახალი ლექსის ძლიერი ოსტატია. აქ წარმოდგენილი „გორის ციხეც" ერთ-ერთ შედევრს წარმოადგენს. ჩიქოვანის ამ ლექსში იგრძნობა პოეტური „სმენის" და პლასტიური „ხედვის" ჰარმონიული შეხმატკბილება. ჩიქოვანის კალამს აქვს რაღაც ნათესაობა ფერწერის ოსტატის სამხატვრო ფუნჯთან. ამ გზით აცოცხლებს და ხელშესახებს ხდის პოეტი მხატვრულ სიტყვაში გაზაფხულს, ქართლის მთაგორებს, „ვაშლების ფერების ფეთქვას", ატმებს, რომლებიც კოლმეურნესთან ერთად მზეს შეჰხარიან და მთელ ბუნებას. მაგრამ ეს ფერთა სიუხვე როდია ამ ლექსში მთავარი: მისი სახეები ღრმად მოფიქრებულია, მაგრამ ისინი ამით როდი ჰკარგავენ ჭეშმარიტ პოეტურ პათოსს. ეს „მოფიქრებულობა" ჩიქოვანის ლექსის ის თვისებაა, რომლითაც პოეტი უპირისპირდება გულუბრყვილო გამარტივებას და ზერელობას და თავისი ლექსი ნაჭედი მონუმენტალობის ხარისხამდე აჰყავს. ბუნებრივია, რომ ასეთ ლექსში უფრო ღრმად და წარმტაცად არის გამოთქმული ბელადისადმი სიყვარული, სიყვარული იმ ადგილებისადმი, სადაც დარწეული იქნა ამ დიდი ადამიანის აკვანი. კარგადაა გამოხატული ლექსში საბჭოთა პატრიოტიზმი: სიამაყე იმით, რომ შენც ეკუთვნი სტალინის ქვეყანას და შენც უმღერი სამშობლოს ეშხსა და სილამაზეს.

თავიდან ბოლომდე ნათელი სტრიქონებით და ახალი ორიგინალური სახეებითაა დაწერილი სიმონ ჩიქოვანის ეს ლექსი.

**გ. ლეონიძეს** ორგანიულად და პოეტური უშუალობით განუცდია აღებული თემა—სტალინის ყრმობა და ჭაბუკობა. კარგია მისი მეორე ლექსიც, რომელიც წარმოადგენს საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობის დელეგატის მოგონებას.

არა ერთი მგზნებარე ჰიმნი მიუძღვნა სოციალისტურ სამშობლოს **პეტრე სამსონიძემ**. ამ უკანასკნელ წლებში პოეტი საუცხოო ლირიკულ ლექსებსა სწერს, რომლებშიაც ჯანსაღი აზრი და გრძნობა ლამაზ პოეტურ სახეებში არის გამოთქმული. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ამ კრებულში მოთავსებული ლექსების შესახებ. ეს ლექსები ბევრგან მოსუსტებიან, ბევრგან შეგვხვდება ასეთი სუსტი სტრიქონები:

„ბედნიერებას გადავეხვევით
მე, შენ, იგი და ყველა მშრომელი,
ხან ავთრთოლდებით როგორც ვერხვები,
ხან გასაფრენად წამოვიშლებით.
ჩვენ ავმაღლდებით როგორც ჭადარი...
მე, შენ, იგი და... სხვაც ბევრჯერ
ბევრი".

ეს აკვიატებული ნაცვალ სახელები მეტად უხეშ დისონანსად გაისმიან და ლექსის ესთეტიურ-მხატვრულ მთლიანობას საკმაო ზიანს აყენებენ.

ასეთი იოლად დაწერილი და დაუმუშავებელი ლექსები პეტრე სამსონიძეს არ უნდა გამოექვეყნებინა.

**სანდრო ეულის** ლექსი ეხება სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატს ამხ. ეთერი მაზანაშვილს. პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა უბრალო გლეხის გოგონა—ბავშვობისას მწყემსი—ჩვენი სამშობლოს საამაყო და სასახელო ადამიანად.

მსოფლიოში პირველი, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების დღეს ქართველმა პოეტებმა თავიანთი სიმღერის თემად აირჩიეს ჩვენი ქვეყნის კულტურული აყვავებაც, ბუნებრივია, რომ ამ საარჩევნო ლექსებში არა ერთგზის გაისმის რუსთაველის სახელი, რომლის უკვდავი ქმნილება, სტალინის მზრუნველობის წყალობით, მსოფლიო დიდებით შეიმოსა. ამ მხრივ აღსანიშნავია **ი. ვაკელის** ლექსი. პოეტი მიმართავს ბელადს:

„შენ შემოგვარტყი სიმტკიცის ხმალი,
შენ აღადგინე რუსთველის ქნარი".

**ს. თავაძეს** თავისი ლექსის თემად განახლებული ტფილისი აუღია. კარგია **ს. შანშიაშვილის** ლექსი „მიმართვა ბელადისადმი".

ლამაზად და გულთბილად არის დაწერილი **ვ. გორგაძის**, **ვ. გაფრინდაშვილის**, **დ. გაჩეჩილაძის**, **გ. ქუჩიშვილის**, **ი. მოსაშვილის**, **კ. ბობოხიძის**, **გ. კაჭახიძის**, **ი. ლისაშვილის**, **ა. ქუთათელის**, **ვ. ჟურულის** და სხვათა ლექსები.

კრებულის მეორე განყოფილებაში—მხატვრულ პროზაში — წარმოდგენილია **აკ. ბელიაშვილის**, **სოლომონ თავაძის**, **ს. კლდიაშვილის**, **ი. ლისაშვილის**, **კ. ლორთქიფანიძის**, **ლ. ქიაჩელის**, **რ. ქორქიას**, **დემნა შენგელაიას**, **პ. ჩხიკვაძის** და **ს. წვერავას** მოთხრობები და ნარკვევები.

საინტერესოდ არის მოფიქრებული **აკ. ბელიაშვილის** მოთხრობა — „შეხვედრას" სიუჟეტი. მახვილი ირონიით დასცინის მწერალი მენშევიკების უბადრუკ საპარლამენტო „არჩევნებს" და მენშევიკების მიერ გამართულ საარჩევნო ოთურმას. გულთბილად და სიყვარულით დაუხატავს ავტორს თავისი მოთხრობის მთავარი გმირი — სარიდანი, რომელსაც ძველი ცხოვრების დროს ხანგრძლივი ტანჯვა, წვალება და შემაძრწუნებელი უსახსრობა განუცდია,—მხოლოდ პროლეტარულმა რევოლუციამ გაუთენა ამ ადამიანს ბედნიერი და ნათელი ცხოვრების დღე.

**ლ. ქიაჩელის** ნარკვევში — „ჩემი ხმები", — კვლავ ვხედავთ რომანის—„გვადი ბიგვას" გმირებს. ეს ცნობილი მანერა—მწერლის შეხვედრა თავისი ფანტაზიის შვილებთან, თავის გმირებთან — ქიაჩელს კარგად დაუკავშირებია არჩევნების საზეიმო განწყობილებასთან.

**დ. შენგელაიას**, **ს. თავაძის** და **ს. კლდიაშვილის** ნარკვევები მოგვითხრობენ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატების, ქართველი ხალხის მიერ უმაღლესი ნდობით აღჭურვილ ადამიანების — ეთერი მაზანაშვილის, ანდრო წიკლაურის და შალვა დადიანის ცხოვრების შესახებ. ნარკვევებში ჩვენ ვეცნობით ჩვენი დეპუტატების ღვაწლსა და საქმიანობას. ამ ნარკვევებმა სათანადო როლი ითამაშეს წინასაარჩევნო აგიტაციაში, რომელიც ფართოდ გაიშალა მშრომელი მასების უსაზღვრო აქტივობის წყალობით.

**კონსტანტინე ლორთქიფანიძის** „ერთი მათგანი" დამახასიათებელი დეტალებით ხატავს საქართველოს დაბაქალაქის ცხოვრებას, რევოლუციამდე და მას შემდეგ. ავტორი ახასიათებს მშრომელ ადამიანს, რომელიც ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის ხმას აძლევს დიდ სტალინს — მთელი საბჭოთა ხალხის დეპუტატს.

**პ. ჩხიკვაძეს** საინტერესო საკითხი აუღია თავისი მოთხრობის „უწმინდური ხელის" თემად. ეს არის მოთხრობა ადამიანის ხელმეორედ დაბადების შესახებ. როგორც ცნობილია ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა გრანდიოზულმა პროცესებმა და გიგანტურმა წინსვლამ უდიდესი პედაგოგიური და ფსიქოლოგიურად გარდამტეხი ზეგავლენა მოახდინეს სისხლის სამართლის დამნაშავეებზე. ღრმად ჩაფიქრეს ისინი და ბევრი მათგანი თავისი ფეხით მივიდა პროკურატურის კარებამდე. ბევრმა მათგანმა — დაინახა რა ჩვენი სამშობლოს აყვავება — გადაწყვიტა თვითონაც დაეწყო ახალი ცხოვრება. ეს პროცესი არის ასახული ჩხიკვაძის მოთხრობაში, ავტორს მკაფიოდ აქვს გადმოცემული ის შინაგანი ფსიქოლოგიური ბრძოლა, რომელსაც განიცდის მოთხრობის მთავარი გმირი — სერგეი ნიკიტინი. ეს უკანასკნელი სტოვებს სამარცხვინო ხელობას — ქურდობას და პატიოსანი შრომის გზაზე დგება.

კრებული კარგად და ლამაზად არის გამოცემული „ფედერაციის" მიერ.

პ.-მგ. რედაქტორი შალვა რადიანი

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტ ამბა „კომუნისტი", ქამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 809